CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## კერძო პირებისა და კომპანიების ანგარიშები კონფიდენციალური აღარ იქნება

N133/3063/ 11 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## „სითი პარკს“ ფეხებზე ჰკიდია თბილისელი მძღოლებიც და მერ ნარმანიას მუქარაც

### რატომ აჯარიმებენ ახალნომრიანი მანქანების პატრონებს




## რიკოთი-ჩუმათელეთის კვების ობიექტებში შეიძლება მენინგიტი „აიკიდოთ“

## გიგა ბოკერია „ალიაში“ გამოქვეყნებულ „ნაციონალების“ სამოქმედო გეგმას ადასტურებს

### რას ელოდებიან მოქმედებების დასაწყებად



## როგორი ამინდებია მოსალოდნელი



საქართველოში ჰაერის თბილი ტემპერატურა კვირის ბოლომდე გასტანს. გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზირების ბიუროს უფროსის დოდო გვაზავას განცხადებით, 14 სექტემბრამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება ან კლება მოსალოდნელი არ არის.

„კვირის ბოლომდე საქართველოში მნიშვნელოვანი ტემპერატურული ცვლილება ნაკლებად მოსალოდნელია, კვლავ თბილი ტემპერატურა შენარჩუნდება. დასავლეთ საქართველოში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 29-30 გრადუსი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 31-34 გრადუსი იქნება. პერიოდულად მოსალოდნელია ხანმოკლე ხასიათის წვიმები ელჭექით“, – განაცხადა დოდო გვაზავამ. (kvira. ge)

## „ჰერმესის“ დირექტორად მიხეილ ძაგანია დაინიშნა



თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით, შპს „ჰერმესის“ დირექტორად მიხეილ ძაგანია დაინიშნა. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ იმედი გამოთქვა, რომ „ჰერმესის“ ახალი ხელმძღვანელი არსებულ პრობლემებს მოკლე დროში მოაგვარებს.

საკადრო ცვლილება განხორციელდა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების ფონდში. დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, „ტექნოლოგიური განვითარების ფონდს“ კახაბერ გვანცელაძე უხელმძღვანელებს. მისი კანდიდატურა დასამტკიცებლად თბილისის საკრებულოს გადაეგზავნება. (ინტერპრესნიუსი)

## მეორე უცხო ენის სწავლება სავალდებულო მე-5 კლასიდან გახდა



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ლია გიგაურის განცხადებით, უკვე დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის რევიზია, შესაბამისად, დაწყებითი საფეხურებისთვის ახალი სახელმძღვანელოები შეიქმნება. ერთ-ერთი ცვლილება არის ის, რომ მეორე უცხო ენის სწავლება, რომელიც სკოლის მიერ არის არჩეული, სავალდებულო გახდა მე-5 კლასიდან, ნაცვლად მე-7 კლასისა.

გარდა ამისა, განისაზღვრა სადამრიგებლო საათის თემატიკა დაწყებით კლასებში და ის ორიენტირებული გახდა წიგნიერების დონის ამაღლებასა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე. საბაზო საფეხურზე სადამრიგებლო საათი კი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის უნარების განვითარებას დაეთმობა. ლია გიგაურის ინფორმაციით, სექტემბრიდან საშუალო საფეხურზე მეწარმეობის კურსის პილოტირება დაიწყება 100 საჯარო სკოლაში.

გარდა ამისა, განისაზღვრა დამრიგებლის მშობელთან ურთიერთობის სავალდებულო ფორმატი და შინაარსი, ასევე ამოქმედდება მშობლების განათლების პროგრამა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, უკვე სრულდება 400-მდე სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდება 2 ახალი სკოლის მშენებლობა, წლის ბოლომდე კი 6 ახალი სკოლა შევა ექსპლუატაციაში. ასევე, წელს 8 ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება.

სასკოლო ავტობუსები მოემსახურება 1000-ზე მეტ სკოლას, საერთო ჯამში კი, ტრანსპორტის მომსახურებით 53 ათასზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს.

გარდა ამისა, სექტემბრიდან საპილოტე რეჟიმში სამედიცინო კაბინეტი ამოქმედდება. (ინტერპრესნიუსი)

## „ხელისუფლება „კუდიანებზე ნადირობის“ მორიგ კამპანიას გეგმავს“



დედაქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა „ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე კიდევ ერთ განცხადებას ავრცელებს.

„უკვე მეორეჯერ მიწევს რაღაც გაურკვეველი კორესპონდენციის უარყოფა, პირველად ეს ჩვეულებრივ გართობად აღვიქვი, ახლა როცა მეორე წერილიც გავრცელდა ჩემი სახელით, ვხედავ, რომ ეს მიზანმიმართული კამპანიაა.

პანიკაში ჩავარდნილი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, გრძნობს მომწიფებულ საზოგადოებრივ უკმაყოფილებას, ხოლო, მეორე მხრივ, სწორი დასკვნების გაკეთების ნაცვლად, გადაბრალების ობიექტს ეძებს და „კუდიანებზე ნადირობის“ მორიგ კამპანიას გეგმავს. კვლავ ვაცხადებ, რომ კორესპონდენცია მე არ მეკუთვნის!

მინდა ვურჩიო ხელისუფლებას, რომ, როცა მთავრობის წევრები საუბრობენ სახელმწიფო გადატრიალებასა და რევოლუციაზე, ეს დამღუპველად მოქმედებს ქვეყნის ისედაც სტაგნაციაში მყოფ ეკონომიკაზე. ეს კი უმუშევრობისა და კრიმინალის ზრდას იწვევს. არ ვიცი, რამდენად აქვს აზრი, რჩევა მისცე ისეთ მთავრობას, რომელმაც მართალია, სხვისი სახელით წერა ისწავლა, მაგრამ კითხვისა და სწორი დასკვნების გაკეთებისგან ჯერ შორსაა.

ჩემი მხრივ, მინდა განვაცხადო, ჩემს ოფიციალურ განცხადებად ან წერილად შეგიძლიათ მიიჩნიოთ, ჩემს ოფიციალურ „ფეისბუკ“-გვერდზე, ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებული განცხადებები, ასევე, ჩემი ადვოკატების მიერ გაკეთებული განცხადებები. სხვა ყველაფერი, ივანიშვილის ბელეტრისტიკაა!

პატივისცემით გიგი უგულავა.

აბუსერიძე ტბელის, მოტროსოვის ბინადარი“, – წერს გიგი უგულავა. (პირველი რადიო)

## ავტოავარიას მშრალ ხიდთან ორი პოლიციელი ემსხვერპლა

მომხდარი შსს-ს პრესსამსახურმა დაადასტურა. მათი ინფორმაციით, მანქანა, რომელშიც სამართალდამცავები ისხდნენ საპატრულო ეკიპაჟის მანქანას დაეჯახა, რის შედეგადაც ორი პოლიციელი გარდაიცვალა. (პირველი რადიო)

## ვინ მიდის ნიუ-იორკში?



10 სექტემბერს პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ნიუ-იორკში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით ერთმანეთს შეხვდნენ...

„ჩვენ გვქონდა ძალიან შინაარსიანი შეხვედრა პრეზიდენტთან, ბევრ თემაზე ვისაუბრეთ და ჩვენ ვეცდებით, რომ ვიპოვოთ ისეთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან, რომელიც იქნება მისაღები ყველასთვის და რომელიც რაც მთავარია, იქნება ქვეყნის სასიკეთოდ“, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

პრეზიდენტისა და მინისტრის შეხვედრაზე დღეს საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო, ვინ გაემგზავრება ნიუ-იორკში – პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი.

„შეხვედრა შედგა ერთიერთზე, საქართველოს პრეზიდენტი უაღრესად კმაყოფილია, შეხვედრის დროს განხილულ იქნა ის, გაეროში როგორ იქნას ღირსეულად წარმოდგენილი სახელმწიფო ინსტიტუტები, ამასთან დაკავშირებით ძალიან ინტენსიური მუშაობა გვექნება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და დარწმუნებული ვარ, საქართველო ღირსეულად წარდგება ამ ფორუმზე. პრეზიდენტის ვიზიტზე მიმდინარეობს მუშაობა“, – აღნიშნა პრეზიდენტის მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ. (ნიუპოსტი)

## „შსს 5 უწყებად უნდა დაიყოს“




შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო 5 სხვადასხვა უწყებად უნდა დაიყოს. მისი თქმით, თავის დროზე უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები მექანიკურად იყო გაერთიანებული და მორგებული იყო ავტორიტარულ მმართველობაზე.

„2009 წლიდან 2012 წლამდე სამართალდამცავი სისტემა ტოტალიტარული, ერთი ადამიანის ახირებებზე იყო აწყობილი. ამ სისტემამ ასეთი ცენტრალიზებული სახით, როგორიც დღეს გვაქვს, აბსოლუტურად დაკარგა მოქნილობა და არის სრულიად გამოუსადეგარი. საჭიროა, ამ სისტემის სრულიად ტრანსფორმირება. დღეს გაერთიანებულია უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები. შს სამინისტროს საქმიანობაში ორი ძირითადი კომპონენტია – დანაშაულის პროფილაქტიკა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მეორე – ეს არის გამოძიება. გამოძიება კრიმინალთან ბრძოლის ძირითადი ასპექტია, მაშინ, როდესაც სპეცსამსახურების საქმიანობაში, რომელიც დაზვერვის ან კონტრდაზვერვის საქმიანობას ახორციელებს, გამოძიება ხარვეზიც კია. ამიტომ, არსებული ნიშნით ეს სრულიად ხელოვნური გაერთიანებაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილზე შეიძლება 5 ახალი უწყებაც კი აღმოცენდეს“, – განაცხადა ნარჩემაშვილმა. (kvira. ge)

## ოკუპირებული ცხინვალი მარგველაშვილის განცხადებას ეხმიანება და თბილისს პირობებს უყენებს




ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას ეხმიანება იმის შესახებ, რომ საქართველო ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს მშვიდობიანი გზით დაიბრუნებს.

„რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი დიდი ხანია, დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ამიტომ ტერიტორიების დაბრუნების შესახებ განცხადებები, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს. ხაზი უნდა გაესვას, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება საკუთარ ტერიტორიასა და მოსახლეობაზე ეფექტურ კონტროლს 2008 წლამდეც ახორციელებდა. რუსული სამხედრო ბაზები კი რუსეთთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განლაგდა. თუ ქართულ ხელმძღვანელობას კეთილმეზობლური ურთიერთობა სურს, მაშინ მან, პირველ რიგში, ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ იურიდიულ დოკუმენტს უნდა მოაწეროს ხელი, აღიაროს რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, აიღოს პასუხისმგებლობა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდისთვის, სათანადოდ შეაფასოს სამხედრო აგრესია და ჩვენი ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი აანაზღაუროს“. – ნათქვამია განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

## „ხელისუფლება აქტუალური პოლიტიკური სახეებისგან პოლიტიკური სივრცის გაწმენდისთვის ამზადებს ნიადაგს“



პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუს ეხმიანება.

„შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება ამზადებს ნიადაგს პოლიტიკური სცენის მოსუფთავებისთვის. მნიშვნელოვანი და აქტუალური პოლიტიკური სახეებისგან სივრცის გასუფთავებისთვის მზადდება ნიადაგი, რაც ყველაზე მძიმე რამ შეიძლება, იყოს, რაც ამ ხელისუფლების სახელს უკავშირდება“, – განაცხადა ლაგაზიძემ. (ფრონტნიუსი)



## მთაწმინდაზე ტყე დაიწვა

მთაწმინდის პარკთან გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია. აღნიშნულის შესახებ „ნიუპოსტს“ თბილისის მერიიდან აცნობეს.

შეგახსენებთ, რომ მთაწმინდაზე ხანძარი დაახლოებით ერთი საათის წინ გაჩნდა. ცეცხლი დაახლოებით 500-600 კვ.მ-ზე იყო მოდებული. ჯერჯერობით ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. (ნიუპოსტი)



# რიკოთი-ჩუმათელეთის კვების ობიექტებში შეიძლება მენინგიტი „აიკიდოთ“

**დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი ან მომავალი მგზავრი სურამსა და ჩუმათელეთში ჩასვლას ელოდება, რომ შეისვენოს და ყოველ კუთხე-კუნჭულში არსებულ კაფესა თუ რესტორანში წაიხემსოს. იცოდით, რომ აქ შეიძლება, ისეთი რამე შეჭამოთ, ბოლოს სასქესო დაავადება, ანდა სულაც მენინგიტი შეგრჩეთ ხელში?**

**„ალიას“ ესაუბრება „საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის“ ხელმძღვანელი მადონა კოიძე:**

– ჩვენს ორგანიზაციაში მომხმარებელმა გამოაგზავნა სურათი, რომელიც გადაღებული იყო სურამი-ჩუმათელეთის ტრასაზე. ფოტოზე ჩანდა, როგორ იღებენ აქაური საზკვების ობიექტები პურ-ფუნთუშეულს, ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე. სურსათის სააგენტოსთან 5 სექტემბერს დაიგეგმა ჩვენი ერთობლივი რეიდი. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და მომხმარებელთა ფედერაციამ ავიღეთ ნიმუშები ლაბორატორიული კვლევისთვის ყველა სტანდარტის დაცვით, ამის შემდეგ მოხდა ამ სინჯების თბილისში ტრანსპორტირება და რა შედეგები დადგება, ამას უშუალოდ სურსათის უვნებლობის თანამშრომლები და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის თანამშრომლები მოგახსენებენ.

**— ჰოდა, სანამ მოგვახსენებდნენ კვლევის პასუხს, მანამდე რა ნახეთ, იჭმევა აქ საჭმელი, თუ არა?**

– დაგვხვდა უმძიმესი მდგომარეობა: არ იყო დაცული ტემპერატურული რეჟიმი პროდუქტის რეალიზაციის დროს, ჭურჭელი არ ირეცხებოდა სათანადოდ, ირგვლივ იყო საშინელი სიბინძურე, სრულიად გულისამრევი სურათი ვნახეთ: აბლაბუდები, უამრავი ბუზი, ტარაკნები, პროდუქტი იატაკზე დაყრილი, დამიჯერეთ, ვერც კი წარმოვიდგენდით ასეთ სიტუაციას.

**— სულ რამდენი ობიექტის ნახვა მოასწარით?**

– სამი ობიექტის, მაგრამ ერთი იყო სურამში, სადაც ჭერი ისეთი იყო, არ შეიხედებოდა – ჩამონგრეული, წყალი ჩამოდიოდა, ამას დაუმატეთ მტვერი, სიბინძურე, წყლის მომარაგება აბსოლუტურად მოუწესრიგებელი, კანალიზაცია მოუწესრიგებელი, როგორ შეიძლება პროდუქტის დამუშავება და ხელების დამუშავება ასე ხდებოდეს და შემდეგ აქ რეალიზებული პროდუქტი მომხმარებელს მიაწოდო?

**— არადა, ეგ ის ადგილებია, წამსვლელ-წამომსვლელი მგზავრები რომ შედიან და იკვებებიან.**

– ყველაზე მტკივნეული ისაა, რომ სამარშრუტო ტაქსებისა და მიკროავტობუსების მძღოლებს აქვთ ამ დაწესებულების პატრონებთან დადებული ზეპირი ხელშეკრულება, რომ აუცილებლად მათთან გააჩერონ, ამის საფასურად მძღოლებს უფასოდ აჭმევენ ეს ობიექტები, მაგრამ მგზავრს წართმეული აქვს არჩევის უფლება და იძულებულია, იკვებოს ისეთი პროდუქტით, რასაც მისი ჯანმრთელობის აშკარა დაზიანება შეუძლია. 5 დღის წინ იყო ეს ერთობლივი რეიდი და დღესაც თვალებიდან არ ამომდის იქაურობა.

სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტოა ოფიციალურად ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც მომხმარებლის უფლებების დაცვა შეუძლია და სწორედ ეს საზკვების ობიექტებია საქართველოს მთავარი სავიზიტო ბარათი, რადგანაც ამ გზას გადის ყველა და წარმოდგინეთ, ელემენტარულად, ისინი ამ ანტისანიტარიასა და სიბინძურეს უყურებენ, ასევე იმას, რა პირობებში მზადდება პროდუქტი იმ ჯიხურებში, რაც ორ რიგადაა განლაგებული გზის ორივე მხარეს და აქ ჩვენ შევხვდით დიდი რაოდენობით ვადაგასულ პროდუქტს, რომელიც სურსათის უვნებლობამ იქვე ამოიღო და გაანადგურა. ასევე უმძიმესი მდგომარეობაა და კონტროლს არ ექვემდებარება სიტუაცია საპირფარეშოებთან დაკავშირებით. თუმცა ასევე კატასტროფაა და მომხმარებლის შეურაცხყოფაა ამ საზკვების ობიექტებში შესვლაც და კვებაც. აქ შეძენილ ისეთ დაცულ საკვებშიც, როგორიცაა ხაჭაპური, შესაძლოა, იყოს გარკვეული საშიში ელემენტები. მე ორი ნიმუში შევიძინე კვლევისთვის. „სალათი ოლივიე“ და „შეკმაზული კუჭმაჭი“ ლაბორატორიული კვლევისთვის მივიტანე სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში, რის შედეგებზეც უშუალოდ ლაბორატორიის წარმომადგენლები გესაუბრებიან. ამ დაწესებულების პატრონები ამ ჯერზე დაჯარიმდნენ მონიტორინგის ფარგლებში, მაგრამ ახლა მოხდება სახელმწიფო კონტროლი და სურსათის უვნებლობა თავად გეტყვით, ამ ობიექტებს რა მოელით.

**ამის შემდეგ კომენტარისთვის ვუკავშირდები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის გამგის მოვალეობის შემსრულებელ თამუნა მოდებაძეს:**

– 5 სექტემბერს ლაბორატორიაში მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელმა მადონა კოიძემ შესამოწმებლად შემოიტანა „შეკმაზული კუჭმაჭი“, ერთი ნიმუში, და ვინეგრეტის სალათი. კუჭმაჭშიც და ვინეგრეტის სალათშიც აღმოჩნდა კოლიფორმები, ნაწლავის ჩხირის ბაქტერიები. ეს იმას ნიშნავს, რომ საკვები საკმაოდ დაბინძურებული იყო. ასევე, „შეკმაზულ კუჭმაჭში“ იყო დაბინძურება მედოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები იყო მომატებული ნორმასთან შედარებით.



**— ჩვენს გასაგებ ენაზე ეს რას ნიშნავს?**

– ეს იმას ნიშნავს, რომ კოლიბაქტერიების მიერ გამომუშავებული ტოქსინებით დაბინძურებული საკვების მიღება იწვევს ნაწლავურ ინფექციებს, შარდსადენი გზებისა და სასქესო ორგანოების დაზიანებას, ასევე მენინგიტსა და სხვა სერიოზულ დაავადებებს.

**ოპააა, მენინგიტიო? და რა ემუქრებათ ამ მენინგიტის გამავრცელებლებს? ვუკავშირდები სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს გიგა ქურდოვანიძეს:**

– ჩვენ გავაკეთებთ კომენტარს მხოლოდ მაშინ, როცა ხელთ გვექნება ჩვენი წარმომადგენლების მიერ აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომლის პასუხი ჯერ არ გვაქვს. ამას მოჰყვება სამართლებრივი შედეგები, ნიმუშების კვლევის შემდეგ, თუ იქნება აღმოჩენილი დარღვევები, შევაფასებთ ამ საწარმოებს და ამის შემდეგ თუ ადგილზე იქნება კრიტიკული შეუსაბამობები, ეს საწარმოები დაიხურება მანამ, სანამ არ იქნება სრულად გამოსწორებული სიტუაცია და გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რომელიც მიეცემა ამ საწარმოებს ინსპექტირების ჯგუფისგან. თუ დაფიქსირდება არაკრიტიკული შეუსაბამობები, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ საწარმოებს პროცესი არ შეუწყდებათ, ოღონდ მიეცემათ გონივრული ვადა ამის გამოსასწორებლად და შემდეგ უკვე მოხდება გადამოწმება, რამდენად გაითვალისწინა მან ჩვენი რეკომენდაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება საჯარიმო სანქციების საკითხი.

**— თქვენ ნახეთ ამ კონკრეტული შემოწმების კადრები?**

– კი, ვნახე და ეს ნიშნავს, რომ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა სანიტარიის თვალსაზრისით, მაგრამ რადგანაც ეს შემოწმება არ იყო გეგმური ინსპექტირების სიაში და ჩვენ მხოლოდ მონიტორინგით შევედით, ამიტომ დაველოდებით ლაბორატორიულ დასკვნას.

**— რატომ აირჩიეთ ეს ტრასა?**

– ეს ნამდვილად ცენტრალური ტრასაა, ზაფხული კი გავიდა, მაგრამ არ დასრულებულა ტურისტული სეზონი, უამრავი ადამიანი სარგებლობს ამ დაწესებულებებით. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ მოწამვლა შეიძლება ყოფილიყო, ეს სიტუაცია გავაანალიზეთ და დავიწყეთ ამის კვლევა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მეწარმეებისთვის ჯარიმა-საურავების ჩამოწერის შესახებ პროექტი პარლამენტში შევიდა



მთავრობის ინიციატივა, რომელიც გარკვეული საგადასახადო დავალიანებისა და დარიცხული ჯარიმა-საურავების ჩამოწერას ითვალისწინებს, პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა.

საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, ჩამოწერას ექვემდებარება: 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; ასევე 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1-ელ იანვრამდე დარიცხული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის გადახდის პირობით, თუკი პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება.

გარდა ამისა, ჩამოწერას დაექვემდებარება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირისთვის 2013 წლის 1-ელ იანვრამდე დაკისრებული, გადაუხდელი ჯარიმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსკოვი ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამატებით შეიარაღებას აგზავნის



ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული მე-4 სამხედრო ბაზა ახალ შეიარაღებას მიიღებს. როგორც რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულში, სამხრეთის სამხედრო ოლქში განაცხადეს, წლის ბოლომდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოდერნიზებული შეიარაღების, ასევე სამხედრო და სპეციალური ტექნიკის 1 400-ზე მეტი ერთეული გაიგზავნება.

უწყებაში ასევე აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის დასაწყისიდან მე-4 ბაზამ შეიარაღების 420-ზე მეტი ერთეული, მათ შორის სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღება, ჯავშანსატანკო და კავშირგაბმულობის ტექნიკა, ასევე საავტომობილო ტრანსპორტი მიიღო. (ფრონტნიუსი)

## მოსკოვში ქართველი მეწარმე მოკლეს

მოსკოვში სასურსათო ბაზრობა „ხილის სამოთხის“ მფლობელი რობერტ ცომაია მოკლეს.

„2014 წლის 9 სექტემბერს მოსკოვში უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღით ორი გასროლა განახორციელა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებული მიღებული ცეცხლსასროლი ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალა“, – განაცხადეს რუსეთის სახელმწიფო საგამოძიებო კომიტეტში.

მათივე მონაცემებით, თავდასხმა ღამის საათებში, იმ დროს მოხდა, როდესაც ცომაია სახლში ბრუნდებოდა. მკვლელობის მომენტი ვიდეოკამერებმა დააფიქსირა.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მიმდინარეობს გამოძიება. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# კერძო პირებისა და კომპანიების ანგარიშები კონფიდენციალური აღარ იქნება



„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში შედის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა, სასამართლოს მეშვეობით ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან მათ ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია გამოითხოვოს. ანუ, თუ სასამართლო გადაწყვეტს, ანგარიშების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური აღარ იქნება.

„ცვლილებების მიხედვით, ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეებს, შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში, ხოლო საგადასახადო ორგანოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე“. მოკლედ, ბევრი გაუგებრობაა.

რატომ დადგა კანონში ამგვარი ცვლილებების შეტანა საჭირო? ამ და სხვა კითხვებით „ალიამ“ ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მიმართა, რომლებმაც პასუხები წერილობით გადმოგვიგზავნეს.

რა შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს საგადასახადო ორგანომ სასამართლოსგან პირადი ანგარიშების შესახებ ინფორმაცია?

როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ:

„საგადასახადო ორგანო პირის კონფიდენციალური ინფორმაციით ინტერესდება (რომელიც ეხება კერძო ან იურიდიული პირის ფინანსებს) გადასახადების ადმინისტრირების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანომ პირს ერთხელ მაინც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართა ინფორმაციის მიწოდების თაობაზე და პირმა ინფორმაცია დადგენილი ვადაში არ წარადგინა. ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საბანკო დაწესებულებისგან გამოითხოვს შესაბამის ინფორმაციას.

კანონპროექტის გათვალისწინებით, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და მასში უნდა მიეთითოს იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებაც ინფორმაციის მიღებას ითხოვს საგადასახადო ორგანო. ასევე, მოთხოვნილი ინფორმაციის ზუსტი აღწერა და ის, თუ რა ფორმით და რა ვადაში სურს საგადასახადო ორგანოს ინფორმაციის მიღება. ამის შემდეგ მოსამართლე ბრძანებას გამოსცემს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, შუამდგომლობის წარდგენიდან ხუთი დღის ვადაში. პროექტით, სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას“.

**ვინაიდან პასუხი ბუნდოვანია, სიტუაციაში გასარკვევად „ალია“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, ფინანსთა სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს წევრს, დემურ გიორხელიძეს დაუკავშირდა:**

– რას ნიშნავს კანონში ეს ცვლილებები? ადრე თუ უკანონოდ იღებდნენ პირის შესახებ ინფორმაციას, ახლა კანონიერად აიღებენ? თუკი გადამხდელის (ფირმის) მიმართ არის გარკვეული ინფორმაცია, რომ ის მალავს გადასახადს, დავალიანება აქვს და არ ფარავს, მაშინ, ბუნებრივია, საგადასახადო ორგანოს აქვს უფლება, მოითხოვოს პირის ანგარიშების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, მაგრამ ასე ხელაღებით უფლების მინიჭება ნებისმიერი პირის ფინანსური ანგარიშების შესახებ და ასე დაუსაბუთებლად ნამდვილად არ არის მართებული. ასეთი ცვლილება ოფიციალურ ორგანოს აძლევს საშუალებას, ნებისმიერ პირზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია დასაბუთების გარეშე. არ მგონია, ეს სწორი იყოს, ვინაიდან კანონში ცალსახად არ არის გაწერილი, თუ რა შემთხვევაში დაინტერესდება საგადასახადო ორგანო ფიზიკური ან იურიდიული პირის კონფიდენციალური ინფორმაციით.

**— შესაბამისი ორგანოები ამ უფლების მინიჭებას ბოროტად ხომ არ გამოიყენებენ?**

– არ არის გამორიცხული, რადგან არ არსებობს გაწერილი მექანიზმი. რაკი არ არსებობს შეზღუდვა, რა შემთხვევაში შეიძლება ოფიციალურმა ორგანომ მოითხოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მაშინ თანამდებობის პირი როგორც ჩათვლის საჭიროდ, იმაზე მიიღებს ინფორმაციას. როგორ გამოიყენებს ამას მთავრობა, ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. არ არის გამორიცხული, თუ მთავრობა არაკეთილსინდისიერად მოიქცევა, ეს უფლება პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენოს.

**— ცვლილებების მიხედვით, ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, ანგარიშების, განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება გაიცეს. რას გულისხმობს ცვლილებების ეს ნაწილი, იქნებ გასაგებად, ადამიანურ ენაზე განმარტოთ.**

– ეს ადამიანურ ენაზე ითარგმნება ასე, რომ პირის კონფიდენციალური ინფორმაციის მოთხოვნას დასაბუთება არ სჭირდება, სჭირდება მხოლოდ მოთხოვნის ოფიციალური წარდგენა სასამართლოში და სასამართლო დააკმაყოფილებს ამას. ვინაიდან კანონი არ აწესებს რეგლამენტაციას, რა შემთხვევაში შეუძლია სახელმწიფოს მოითხოვოს ეს ინფორმაცია. მაშინ გამოდის, რომ მოთხოვნის შემთხვევაში ერთადერთი რჩება, რომ სასამართლო გზით მიღებული იქნას ეს ნებართვა.

**— როდესაც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს დავუსვით შეკითხვა, რა შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს საგადასახადო ორგანომ სასამართლოსგან პირის პირადი ანგარიშების შესახებ ინფორმაცია, პასუხად მივიღეთ, რომ „ცვლილებების მიხედვით საგადასახადო ორგანო გადასახადების ადმინისტრირების მიზნით, ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საბანკო დაწესებულებისგან გამოითხოვს შესაბამის ინფორმაციას“. ეს პასუხი არადამაჯერებლად მეჩვენება. თუ პირი მალავს გადასახადს, აქამდეც არსებობდა მექანიზმი, რომ არაკეთილსინდისიერი გადამხდელი გამოვლენილიყო.**

– საქმე ის არის, რომ რა განმარტებაც თქვენ მიიღეთ, ეს ყველაფერი არ წერია იმ ცვლილებებში, რომელიც კანონში შედის. ასე რომ ეწეროს, ყველაფერი ცხადი იქნებოდა, რომ, თუკი პირი მალავს გადასახადს, მაშინ საჭიროა ამ პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მორალური და კანონიერია, რომ უფლებამოსილმა ორგანომ მიმართოს სასამართლოს კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების თაობაზე, მაგრამ რაც თქვენ თქვით, ეს არ წერია კანონში, ვერ გეტყვით, შეიძლება ეს იგულისხმება, მაგრამ ცვლილებებით ნამდვილად არ იკითხება.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ებოლას ვირუსზე საქართველოში 57 პირს აკვირდებიან



ებოლას ვირუსზე საქართველოში უცხოეთიდან ჩამოსულ 57 პირს აკვირდებიან. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის განცხადებით, სულ დაკვირვების ქვეშ 64 პირი იმყოფებოდა, მათგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე იყო. 21 დღიანი დაკვირვების პერიოდის გასვლის შემდეგ აღნიშნული პირები, კერძოდ 7 ადამიანი თავს კარგად გრძნობს. ამჟამად დაკვირვების ქვეშ 57 ადამიანი რჩება, მათი უმეტესობა ნიგერიიდან ჩამოსული სტუდენტები არიან. იმნაძემ აღნიშნა, რომ 170 მლნ-იან ნიგერიაში ვირუსის მხოლოდ 22 შემთხვევაა დაფიქსირებული, ისიც სხვა ქვეყნიდან არის შეტანილი.

იმნაძის თქმით, დაავადებათა კონტროლის ცენტრი საქართველოში იმ ქვეყნებიდან შემოსულ პირებს, სადაც ებოლას ვირუსია გავრცელებული, პერიოდულად უკავშირდება და მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას მოიკითხავს.

პაატა იმნაძის თქმით, საქართველოში ვირუსის გავრცელების არანაირი საფრთხე არ არსებობს. საზღვრის გადმოკვეთისას ადამიანებს საინფორმაციო ბუკლეტი ეძლევათ, სადაც მითითებულია, ვის მიმართონ დაავადების პირველი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში.

ებოლას ვირუსი რამდენიმე თვის წინ, ძირითადად აფრიკის ქვეყნებში გავრცელდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ლიბერიაში, გვინეასა და სიერა ლეონეში ებოლას ვირუსს 2 288 ადამიანი ემსხვერპლა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასწრაფო დახმარების მედიკოსების ხელფასი 100-150 ლარით იზრდება




თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების საათობრივი ანაზღაურება იზრდება. 10 აგვისტოდან სასწრაფო დახმარების ბრიგადის მძღოლები მიიღებენ 100 ლარით მეტ ხელფასს, ხოლო მედიკოსები ყოველთვიურად 150 ლარს სახელფასო დანამატს მიიღებენ.

ასევე, იგეგმება ტექნიკის განახლებაც.

„ოქტომბერ, ნოემბერ, დეკემბრის თვეში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემაში მომუშავე თანამშრომლები, სამედიცინო პერსონალი მიიღებს გაზრდილ ანაზღაურებას. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მხრიდან შეძენილ იქნა 13 ერთეული მანქანა, რათა ეს მანაქანები ჩაენაცვლოს და პარკი უფრო მეტად განახლდეს და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოპერატიულობაც გაიზარდოს“, – განაცხადა დავით ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

## ქობულეთში რელიგიურ ნიადაგზე სიტუაცია იძაბება



ქობულეთში მუსლიმანურ პანსიონთან უცნობმა პირებმა ღორი დაკლეს და ღორის თავი სასწავლებლის კარზე დაამაგრეს. როგორც „ქართველ მუსლიმანთა ურთიერთობის“ თავმჯდომარემ, შამილ კაკალაძემ აღნიშნა, მუსლიმანთა პანსიონთან, რომელიც 13 სექტემბერს უნდა გაიხსნას, მოსახლეობა მივიდა და მუსლიმანებს შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდართან დაკავშირებით მუსლიმანები სამართალდამცველებს მიმართავენ და საქმის გამოძიებას მოითხოვენ, რადგან მათი თქმით, მსგავსი ქმედება მუსლიმანებისთვის დიდი შეურაცხყოფაა.

„პოლიციას აქვს ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ. მაქვს იმედი, გამოიძებენ, რადგან ჩვენ უკანონოს არაფერს ვაკეთებთ. არც ერთ სარწმუნოებაში ღორის შეწირვა არ გამიგია, მით უმეტეს, მუსლიმანების სასწავლებელთან ღორის დაკვლა და თავის გაკვრა სასწავლებლის კარზე ძალიან დიდი შეურაცხყოფაა. მოსახლეობის მხრიდან შეურაცხმყოფელი ქმედებები რამდენჯერმე იყო, მაგრამ რაც ახლა მოხდა ყოველგვარ ზღვარს სცილდება, მოსახლეობა მოვიდა და ყვიროდა, არ გაგახსნევინებთ სასწავლებელსო, ეს იყო ორგანიზებული ქმედება მუსლიმანების შეურაცხყოფისთვის. 13 სექტემბერს სანამ სკოლები დაიწყება, მუსლიმანური პანსიონის გახსნას და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერას ვგეგმავთ“, – აღნიშნა შამილ კაკალაძემ.

მისივე ინფორმაციით, არ იცის კონკრეტულად ვინ დაკლა ღორი და ამის დასადგენად სამართალდამცველებს მიმართავს. (ინტერპრესნიუსი)

## წალენჯიხაში სპეცოპერაციის შედეგად 30 წლის მამაკაცი დააკავეს




წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს, რომლის შედეგადაც 30 წლის დავით ქუხილავა დააკავეს. მისი ოჯახის წევრების განცხადებით, სპეცრაზმი მათ თავს დაესხა და სამართალდამცველების მხრიდან იყო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. დაკავებულის ნათესავების თქმით, პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქუხილავასთვის მარიხუანის ჩადება სცადა. ის სამხარეო პოლიციის შენობაში ჰყავთ და მასთან ამ დრომდე ადვოკატი არ შესულა.

„სახლში შემოვარდნენ ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და საბუთების წარმოდგენის გარეშე. მძინარე ხალხი აგვყარეს, იყო უხეში მოპყრობაც. ისიც კი არ გვითხრეს, ვის ეძებდნენ“, – განაცხადა დაკავებულის დამ. (ნიუპოსტი)

## ქარელში მამაკაცმა ქალის გაუპატიურება ბავშვის თვალწინ სცადა




ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ახალგაზრდა მამაკაცმა მეზობლის, ასევე ახალგაზრდა ქალის გაუპატიურება სცადა. ადგილობრივების ცნობით, ქალბატონი თვეების ბავშვთან ერთად სახლში მარტო იმყოფებოდა, მეუღლე კი სახლიდან იყო გასული. მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იყო და ახალგაზრდა ქალბატონის გაუპატიურებას ცდილობდა, თუმცა ქალმა მოძალადისგან თავის დაღწევა გაქცევით შეძლო.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, ძალადობის მსხვერპლი ყვიროდა და შველას ითხოვდა. მოძალადე ინციდენტის შემდეგ სოფელში აღარავის უნახავს. ძალადობის მსხვერპლის მეუღლე კი მას ამ დრომდე უშედეგოდ ეძებს. დაზარალებულებს სამართალდამცველებისთვის მომხდარის შესახებ ამ დრომდე არ უცნობებიათ, რადგან ამ ამბის გახმაურება არ სურთ. (ნიუპოსტი)



## პატრულის ორი თანამშრომელი პასუხისგებაში მისცეს

ბათუმში პატრულის ორი თანამშრომელი პასუხისგებაში მისცეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გენერალურმა ინსპექციამ, პატრულის თანამშრომლები პასუხისგებაში, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე მისცა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები ჯერჯერობით არ კონკრეტდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვაკეში მძარცველებმა ხანდაზმული ქალბატონი „დასკოჩეს“ და დააუთოეს




აბაშიძის ქუჩაზე ყაჩაღობა მოხდა. ხანდაზმულ ქალბატონს სახლში სამი ნიღბიანი შეუვარდა. თავდამსხმელებმა დიასახლის სცემეს, „სკოჩით“ დააბეს, უთოთი დამწვრობები მიაყენეს და ფეხი მოტეხეს. მძარცველები ჩანქსელიანების ოჯახისგან ფულსა და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. ქალბატონი ოთახში 4 საათის განმავლობაში ჰყავდათ ჩაკეტილი.

ლუარა ჩანქსელიანი ორკვირიან დუმილს არღვევს და 25 აგვისტოს მომხდარი თავდასხმის დეტალებს იხსენებს. 80 წლის ქალბატონის განცხადებით, თავდასხმის მომენტში სახლში ნათესავთან ერთად იმყოფებოდა.

„შემოვიდნენ სამნი, ახალგაზრდები, ერთ-ერთმა სპორტსმენი იყო, ალბათ. სასტიკად მცემა, „დამსკოჩა“ და შემაგდო აბაზანაში, იქ იყო უკვე ჩვენი ნათესავი, მოხუცებული ქალი, აბაზანაში, ნაცემი და მერე გაზიდეს ყველაფერი და დაგვტოვეს ასე. ყველაფერი წაიღეს, განძეულიც და ფულიც, 200 წლის ოჯახი მაქვს და როგორ არ წაიღებდნენ. მცემეს, მუხლი მომამტვრიეს, ნეკნები ჩამიმტვრიეს, თავი ერთ ადგილას არ მაქვს ისე, რომ თითი რომ დავიკარო, არ მტკიოდეს, თვალები გაშავებული, მთელი სახე დაჭრილი, გაუბედურებული, შემათრიეს აბაზანაში და „დასკოჩილი“ დამადგეს“, – განაცხადა დაზარალებულმა. (ნიუპოსტი)

## ენგურჰესში მამაკაცი დაიხრჩო



ენგურჰესში 52 წლის მამაკაცი დაიხრჩო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მამაკაცი ჰესში მაშინ დაიხრჩო, როდესაც მდინარე ენგურიდან ჩამოტანილ მორებს ნავით აგროვებდა. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვლილს ნავი გადაუბრუნდა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე საქმე 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. (ნიუპოსტი)

## ლაგოდეხში ახალგაზრდა დაჭრეს

შემთხვევა სოფელ კაბალში მოხდა. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 24 წლის მამაკაცს ჭრილობა დანით მიაყენეს. ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ის მკურნალობას თბილისში განაგრძობს. შემთხვევას შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაგოდეხის სამმართველო იძიებს. საქმე 118-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ექვმიტანილი მამაკაცი უკვე დაკავებულია. (ფრონტნიუსი)

# ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას „მაგთიკომმა“ უკვე მე-15 ალბომი მიუძღვნა

## ამჯერად კომპანიის ინიციატივით გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა ალბომი გამოიცა

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

9 სექტემბერს „მაგთი კლუბში“ საზოგადოებამ მორიგი შესანიშნავი სიახლის შესახებ შეიტყო – ამჯერად „მაგთიკომის“ ინიციატივით მსოფლიოში ცნობილი ქართველი მხატვრის, გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა ალბომი გამოიცა.




აღსანიშნავია, რომ ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას „მაგთიკომმა“ უკვე მე-15 ალბომი მიუძღვნა.

„მხატვარი უჩვეულო სიმსუბუქით ირხევა ბუნებასა და ადამიანს შორის, არ ეძებს სიღრმეებს – ისინი აქეთ პოულობენ. წინასწარ არაფერს აგებს, მთლიანად ენდობა შიშველ ინტუიციას და საკუთარ ქმნილებას პროცესშივე ეცნობა“, – ალბომის შესავალში წერს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ანდრიაძე.

როგორც ყოველთვის, „მაგთიკომი“ ერთგულია თავისი ფასეულობის ამსახველი დევიზისა – „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ და ცდილობს, თანამედროვე ქართველ მხატვრებზე საზოგადოებას სრულფასოვანი წარმოდგენა შეუქმნას.

შეგახსენებთ, რომ კომპანიის ხელშეწყობით უკვე გამოიცა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემო გოცაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარ ჩხარტიშვილის, ემირ ბურჯანაძის, ბიძინა ავალიშვილისა და ლევან ცუცქირიძის ნამუშევართა ალბომები. ასევე, არქიტექტორების, გიგა ბათიაშვილისა და გივი ჯაფარიძის შემოქმედების ამსახველი წიგნები.

**თათული ღვინიაშვილი, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, რაც „მაგთი კლუბში“ მსგავსი ღონისძიება იმართება. დღეს საზოგადოებას მხატვარ გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევრების ალბომი წარვუდგინეთ. ვფიქრობ, ეს ნამდვილად საგანძურია მომავალი თაობისთვის, რადგან საშუალებას აძლევს, შეისწავლონ და აღიზარდონ ეროვნულ ღირებულებებზე.

ეს არის ნამდვილად ქართული საქმის კეთება, რასაც მომავალშიც გავაგრძელებთ და შევეცდებით, რომ შთამომავლობას კიდევ უფრო დიდი საგანძური დავუტოვოთ.

**გოგი ჩაგელიშვილი, მხატვარი:**

– „მაგთიკომთან“ საკმაოდ დიდი ხანია, ახლო და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ცოტა ხნის წინ შემომთავაზეს, ჩემი ალბომი გამოცემულიყო... ბუნებრივია, როცა ასეთი დიდი ალბომი გამოდის, მასში მხატვრის მთელი შემოქმედება, ცხოვრება ექცევა. დაახლოებით ათი ნამუშევარი ამოვიღე კიდეც, რადგან ძალიან სქელტანიანი, მძიმე გამოდიოდა. შედეგი მაინც არაჩვეულებრივი მივიღეთ და ზოგადად, „მაგთიკომს“ ყოველთვის შესანიშნავი შედეგი აქვს ხოლმე, რადგან კომპანია საშვილიშვილო საქმეს აკეთებს.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ამ ალბომის შექმნაზე იმუშავა არა მხოლოდ ჩემი, არამედ ყველა მხატვრის სახელით.

**დავით ანდრიაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი:**

– გოგი დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულ ფერწერაში. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, თუმცა ფაქტია, რომ გოგი 40 წელია, არტსცენაზეა და დღემდე სულ უფრო იკრებს ძალებსა და პოპულარობას. გარდა ამისა, არის ერთ-ერთი ყველაზე კონვერტირებადი მხატვარი, ძალიან პოპულარულია ევროპაში, ამერიკაში. მან მოახერხა ის, რომ იყოს ერთნაირად მიღებული მხატვარი არამხოლოდ პროფესიულ სფეროში. ყველას უნდა, რომ გოგის ნახატი ჰქონდეს.

არსებობს მხატვრის შემოქმედების ორი ფორმა – ან უნდა მოხვდეს მუზეუმში, ან უნდა გამოიცეს ალბომი. ერთი ეგ არის, ალბომი შეიძლება ბევრ საშუალო დონის მხატვარს ჰქონდეს, თუმცა „მაგთიკომი“ პირველხარისხოვანი მხატვრების ალბომებს ამზადებს და ვფიქრობ, ამით მომავალ თაობებს უდიდეს საქმე უკეთებს.



**მიხეილ სახვაძე**

# „სითი პარკს“ ფეხებზე ჰკიდია თბილისელი მძღოლების და მერ ნარმანიას მუქარაც

## რატომ აჯარიმებენ ახალნომრიანი მანქანების პატრონებს

„სითი პარკი“ ავტომფლობელთა გატყავების არც ერთ შანსს არ უშვებს ხელიდან და ამჯერად როგორ ამწარებს მათ, მოგახსენებთ. 1-ლი სექტემბრიდან ავტომობილებზე ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი სანომრე ნიშნების გაცემა დაიწყო. მარტო პირველ დღეს 1500 ახალი ნომერი გაიცა და რიგები დღემდე არ შეთხელებულა. 10 დღეა გასული, რაც ახალი ნომრების გაცემა დაიწყო და პირველ დღეს გაცემულ 1500 ნომერს თუ გავიხსენებთ, სავარაუდოდ, მინიმუმ, 15 000 ნომერშეცვლილი მანქანა დადის თბილისში.

ახლა მთავარი. „სითი პარკის“ პარკირების საშვი, მოგეხსენებათ, ავტომობილის ნომრების მიხედვით არის გაცემული. ეს ის ფასიანი საშვებია, რომლებშიც მოქალაქეები ფულს იმიტომ იხდიან, რომ მერიის კონტრაქტორი კომპანია მათ მოემსახუროს და არა ჯოჯოხეთი დააწიოს ყოველდღე. ნომრების შეცვლაც „სითი პარკმა“ სათავისოდ გამოიყენა. რადგანაც ავტომობილების ახალი ნომრები ძველის ნაცვლად ამ კომპანიის ბაზაში არ არის დარეგისტრირებული, ყველა ახალნომრიანი მანქანა, რომელიც სადგომზე მოიხელთეს, 10 ლარით დააჯარიმეს.

უხეში გათვლებით, ამ 10 დღეში, „სითი პარკმა“ შესაძლოა, 15 000-მდე ავტომფლობელი დააჯარიმა, რაც თბილისელთა ჯიბეებიდან უნამუსოდ ამოცლილი 150 000 ლარია. ხალხი რომ აღშფოთდა, „სითი პარკში“ მიხვდნენ, რომ ძალიან უნამუსოდ იქცეოდნენ და გუშინ, 10 სექტემბერს, სპეციალური განცხადება გაავრცელეს, ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების შემოღებასთან დაკავშირებით პარკირების საშვი ახალ ნომრებზე გადაიტანეთ, ამისთვის საჭიროა მიაკითხონ „სითი პარკის“ სერვისცენტრს კანდელაკის 47 ნომერში და წარმოადგინეთ ცნობა შსს-ს მომსახურების სააგენტოდან, რომ ჩააბარეთ ძველი სახელმწიფო ნომრები და ახალი აიღეთ. ამ ინფორმაციის საფუძველზე მოხდება პარკირების საშვის გადატანაო.

ახლა დეტალურად მივყვეთ, რა დააშავა „სითი პარკმა“, რატომ აიგდო ავტომფლობელები კვლავ აბუჩად, რის გაკეთება შეეძლო და არ გააკეთა და რასაც ახლა აკეთებს, ეს რატომ არის ძალიან მაგარი აბსურდი და ისევ ხალხის წვალების ახალი საშუალება?

ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების შეცვლასთან დაკავშირებით, შსს-მ განცხადება 3 თვის წინ გააკეთა და ხაზგასმული იყო, რომ ეს პროცესი 2014 წლის 1-ელ სექტემბერს დაიწყებოდა. „სითი პარკს“ თადარიგი უნდა დაეჭირა და, სულ მცირე, ავტომფლობელები 1-ელ სექტემბრამდე რამდენიმე დღით ადრე გაეფრთხილებინა, რომ ვინც ნომერს შეცვლიდა, პარკირების საშვი ახალ ნომრებზე გადაეტანა და საამისოდ, კომპანიის სერვისცენტრისთვის მიეკითხებინა. მაგრამ ამას რატომ გააკეთებდნენ ადრე, გიჟები იყვნენ? წესით, ქვეყანა ფული უნდა მოეხვეტა „სითი პარკს“ ამ 10 დღეში. მერე „მიხვდნენ“, რომ ავტომფლობელები არაფერ შუაში იყვნენ, თუ მათი პარკირების საშვზე ახალი ნომერი არ იყო დატანებული. ამას ხალხი თავად ვერ გააკეთებდა და ეს „სითი პარკი“ იმისთვის არსებობს, ავტომფლობელებს პრობლემები ისე მოუგვაროს, უმიზეზოდ არ დააჯარიმოს. „სითი პარკს“ ავტომფლობელების პრობლემებზე ორიენტირებული ხალხი რომ მართავდეს, ეს საკითხი მარტივად გადაიჭრებოდა. „სითი პარკის“ და შსს-ს მომსახურების სააგენტოს შორის ხელშეკრულება გაფორმდებოდა, ვინც ახალ ნომერს აიღებდა, ყველა ეს მონაცემები მომსახურების სააგენტოს ბაზიდან ავტომატურად აღმოჩნდებოდა „სითი პარკის“ მონაცემთა ბაზაში, მერე, ავტომფლობელები მივიდოდნენ კომპანიის ოფისში და აიღებდნენ განახლებულ პარკირების საშვს, სადაც ავტომობილის ახალი ნომერი იქნებოდა დაფიქსირებული. ნორმალურ ვითარებაში, ავტომფლობელს ახალი საშვის ასაღებად რამდენიმე დღე ექნებოდა, დავუშვათ, 10 დღის ვადაში ვალდებული იქნებოდა, ოფისში მისულიყო და ახალი საშვი აელო. თუმცა, „სითი პარკმა“ ეს საკმაოდ მარტივი რამ არ გააკეთა და აჯარიმა და აჯარიმა ხალხი.

ახლა „სითი პარკის“ განცხადებას დავუბრუნდეთ. მათი მესვეურნი ხალხს მოუხმობენ, ვინც ახალი ნომრები აიღეთ, ყველამ „სითი პარკის“ ოფისს, კანდელაკის №47-ს მოაკითხეთო. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა რიგები გაიჭიმება კანდელაკის ქუჩაზე? ძველი ნომრების ახლით შეცვლას, ახალი საშვის დამზადებას ხომ დრო სჭირდება? კაცმა მთელი დღე უნდა დაკარგოს, რომ ახალი საშვი აიღოს. ახლა ამას იმ რიგში ნერვების წყვეტა მიათვალეთ. გარდა ამისა, ავტომფლობელი ჯერ ისევ რუსთავში უნდა ჩავიდეს, ცნობა აიღოს, რომ ძველი ნომერი ახლით შეცვალა და ამ ცნობით უნდა ეახლოს „სითი პარკს“. რიგები რუსთავშიც დადგება და რაც არ უნდა სწრაფად იმუშაონ მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა, ხალხი იქაც დიდ დროს დაკარგავს. მაგარი ვაჟკაცობა იქნება, თუ ადამიანმა ერთ დღეში აიღო ცნობა მომსახურების სააგენტოდან და იმავე დღეს მოასწრო „სითი პარკში“ ახალი ავტოპარკირების საშვის აღება. აი, ამ დღეში ჩააგდო ხალხი „სითი პარკის“ თავმოუბმელობამ თუ წინასწარ განზრახულმა ხაფანგმა, რომელიც, გონივრული ეჭვი მაქვს, მასში ხალხის გაბმასა და მათგან ყოვლად გაუმართლებელი ჯარიმების ამოღების მიზნით დააგო.

კიდევ ვიმეორებ, ის ხალხი, ვინც დააჯარიმეს, არაფერ შუაშია, „სითი პარკმა“ ავტომფლობელები დროულად არ გააფრთხილა და ეს არის ყველაფრის მიზეზი. მაინტერესებს, ეს უსაფუძვლოდ დაჯარიმებული მძღოლები რომ მიადგნენ „სითი პარკს“, იმ ჯარიმას, 10 ლარს უკან დაუბრუნებენ, ვისაც გადახდილი აქვს? ანდა, ვისაც ჯერ არ გადაუხდია, მათ გაუბათილებენ ამ საჯარიმო ქვითარს? წესით, თუ ჭკუა აქვთ „სითი პარკის“ მესვეურთ, ასეც უნდა მოიქცნენ. ხალხი უკვე ისეთ დღეშია, იმდენად გამწარებულია ამ კომპანიის თავხედური საქციელით, რომ ერთ დღეს, შესაძლოა, ოფისში შეუვარდნენ და მათი უფროსობა კინწისკვრით გამოყარონ გარეთ. არ გამოვრიცხავ, რომ ეს „ნოვაცია“, ეს 10-ლარიანი ჯარიმები აღმოჩნდეს ბოლო წვეთი ხალხის მოთმინების ფიალაში.

რატომ არ გააფრთხილა „სითი პარკმა“ ხალხი წინასწარ, რომ ეს გაუგებრობა თავიდან აეცილებინა მათთვის და რატომ გააკეთა განცხადება 10 სექტემბერს, როცა უკვე გვიანი იყო, როცა უამრავი ადამიანი დააჯარიმა და კიდევ ბევრს დააჯარიმებს ამ დღეებში? რატომ არ ისარგებლა მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზით, რომ სწრაფად, ავტომატურ რეჟიმში, ძველი სანომრე ნიშნები ახლით შეეცვალა და ამით ბევრ დროს მოიგებდა ხალხის სასიკეთოდ? რატომ იბარებს ყველა ავტომფლობელს „სითი პარკი“ ცენტრალურ ოფისში, როცა წინასწარ იციან მისმა მფლობელებმა, რომ იქ უზარმაზარი რიგები გაიჭიმება? ხომ შეეძლო, რაიმე ალტერნატიული მომსახურების საშუალება გამოენახა და დავუშვათ, რაიონების მიხედვით გაეცა ახალი საშვები? ის ავტომფლობელები, რომლებიც კანდელაკის ქუჩას მიაწყდებიან დღეიდან, ათ ნაწილად დაიყოფოდნენ და შესაბამისად, რიგები და ნერვების წყვეტაც ნაკლები იქნებოდა (თუმცა, ამას დამატებითი 10 სერვისცენტრის გახსნა, დამატებითი ხარჯები დასჭირდებოდა და „სითი პარკი“ იმის ჩიტი არ არის, ხალხის კომფორტული მომსახურებისთვის ფული დახარჯოს). ზუსტად რამდენი ადამიანი დააჯარიმა „სითი პარკმა“ 1-10 სექტემბერს? დაუბრუნებს თუ არა ამ 10-ლარიან ჯარიმებს უსაფუძვლოდ დაჯარიმებულ ხალხს და ვისაც ჯერ ჯარიმა არ გადაუხდია, გაუბათილებს თუ არა მათ საჯარიმო ქვითრებს? აი, ამ კითხვებზე გვსურდა „სითი პარკის“ წარმომადგენელს ჩვენთვის ეპასუხა. „ალია“ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ლევან ტაბიძეს დაუკავშირდა, მაგრამ მან გვითხრა, რომ არც თავად და არც კომპანიის არც ერთი წარმომადგენელი, ჯერჯერობით, კომენტარს არ გააკეთებენ. შესაძლოა, „სითი პარკის“ ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ მორიგ შარში გაეხვივნენ, კიდევ ერთხელ დაიპირისპირეს ხალხი და მათთვის სათქმელი არაფერი აქვთ, დროს იგებენ. ნახავენ, მოვლენები როგორ განვითარდება და შემდეგ გააკეთებენ სიტუაციის შეძლებისდაგვარად ადეკვატურ განცხადებას.

საინტერესოა, სად არიან მერიის მაღალჩინოსნები, რომელთაც ამ ამბავზე ერთი განცხადებაც კი არ გააკეთეს? „სითი პარკის“ თემით, დღევანდელი ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი ქულებს იწერდა, როცა აცხადებდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, „სითი პარკს“ უყოყმანოდ და სასწრაფოდ გავაძევებთ საქართველოდანო. თბილისის ახალ მერს, დავით ნარმანიასაც არაერთხელ განუცხადებია, რომ ამ კომპანიის საქმიანობა მეტად საეჭვოა და ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ჰოდა, დალოცვილო, ამ საეჭვო რეპუტაციის კომპანიამ კიდევ ერთხელ შავ დღეში რომ ჩაყარა თბილისელები, სიტყვით მაინც გამოექომაგე? უკვე მოხვედით ხელისუფლებაში, განცხადებების კეთების დრო წავიდა, ახლა ის დროა, ამ „სითი პარკს“ მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულება გადაახიო თავზე და საიდანაც მოსულა, იქ გაისტუმრო.

**„ალია“ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მაგდა პოპიაშვილს დაუკავშირდა. გვსურდა, „სითი პარკის“ თავხედობასთან დაკავშირებით კითხვები მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსისთვის ან ამ სამსახურის სხვა წარმომადგენლისთვის დაგვესვა. პოპიაშვილმა გვითხრა, მერიის შესაბამისი სამსახურები საკითხს შეისწავლიან და კომენტარს მოგვიანებით გააკეთებენო.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღებაზე ოთხი პირი დააკავეს




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გასაღების ფაქტზე ოთხი პიროვნება დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ ერმილე გახოკიძემ, ზურაბ ტაბიძემ, პაატა ტოგონიძემ და ოთარ ჩოგოვაძემ დაამზადეს და მეწარმე სუბიექტზე გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სასაქონლო ზედნადებები, თითქოს, ერთ-ერთ მეწარმეს მათ დიდი ოდენობის ღირებულების დამუშავებული ხის მასალა მიაწოდეს. ყალბი დოკუმენტების სანაცვლოდ, დაკავებულებმა 9 650 ლარი აიღეს.

დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება გრძელდება 210-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს პატიმრობას 4-დან 7 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

### დედოფლისწყაროში 20 წლის ბიჭი დენის დარტყმით გარდაიცვალა




დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში დენის დარტყმის შედეგად 20 წლის ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა.

შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც ახალგაზრდა ოჯახს წყალგაყვანილობის სამუშაოებზე ეხმარებოდა, რა დროსაც ელექტროსადენიდან დენმა დაარტყა.

მომხდართან დაკავშირებით საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ნაცმოძრაობის“ ლიდერები აშშ-ში ჯონ მაკკეინს შეხვდნენ



ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს აგრძელებს საპარლამენტო უმცირესობა. დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია და გიორგი კანდელაკი სენატორ ჯონ მაკკეინსა და კონგრესმენ მაიკლ ტერნერს შეხვდნენ. ასევე გამართეს შეხვედრა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში და „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ღონისძიებას დაესწრნენ. შეხვედრებში მთავარი თემა საქართველოს შიდა პოლიტიკა და რეგიონული უსაფრთხოება იყო.

„ჩვენ ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, მათ შორის ადმინისტრაციის წევრების მიმართ სამართლებრივი პროცესის აღძვრაზე, რაც, ჩემი აზრით, ძალიან სამწუხაროა. შევეხეთ ზოგად პოლიტიკურ კლიმატს. ასევე, ვისაუბრეთ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციაზე“, – განაცხადა მაკკეინმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# გიგა ბოკერია „ალიაში“ გამოქვეყნებულ „ნაციონალების“ სამოქმედო გეგმას ადასტურებს

## რას ელოდებიან მოქმედებების დასაწყებად



„ალიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ სკანდალური განცხადება გააკეთა, რომ კონკრეტულ დაჯგუფებას სურდა ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზებით დამხობა, კერძოდ კი, მინისტრმა დააკონკრეტა, რომ ეს ძალა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება. კიევსა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე სააკაშვილმა მისცა კონკრეტული დავალებები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს, ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელადო. კერძოდ, მინისტრის განცხადებით, სააკაშვილს გაცემული აქვს დავალება, რომ შექმნან კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი და მათ უნდა იმოქმედონ პროვოკაციულად. მათ შორის პოლიციის თვალწინ და ეცადონ, მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები და სხვადასხვა თემების მანიპულირებით, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე მოახდინონ გაფიცვების პროვოცირება. მათი საბოლოო მიზანია, შექმნან ქაოსური ვითარება.

„ალიასთვის“ ცნობილი ხდება, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ორგანიზებული ძალა, რომელიც უკრაინის დასახმარებლად იბრძვის, საქართველოში დაწყებული ქაოსის შემთხვევაში საქართველოში ჩამოვა და პროცესებში ჩაერთვება.

„ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი, გიგა ბოკერია „ალიაში“ გამოქვეყნებულ შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერვიუს ეხმიანება და აცხადებს: „მინდა სრულიად შეგნებულად აღიარებითი ჩვენება მივცე ჭიკაიძეს, მართლაც ამას ვამზადებთ, რაზეც ის საუბრობს და ამაზე ბევრად მეტს ვაპირებთ, ოღონდ ყველაფერს კონსტიტუციის ფარგლებში და აუცილებლად შევცვლით იმ ხელისუფლებას, რომელსაც მხოლოდ ზიანი მოაქვს ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის“.

**მაშ ასე, რას ემსახურება „ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი“ გიგა ბოკერიას „აღიარებითი ჩვენება“ და რა სცენარით განვითარდება მოვლენები?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ალიას“ კითხვებს კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე პასუხობს:**

– მე მაქვს ინფორმაცია, რა განწყობაა „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებში, ვინაიდან იქ საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები არიან, ესენი აკვირდებიან ხალხის განწყობას, „ნაციონალები“ ელოდებიან, რომ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ნიადაგზე რაც შეიძლება მეტად გაღიზიანდეს ხალხი და ისინი დაიწყებენ გამოსვლების ორგანიზებას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი ხელისუფლებით გაწბილება და გაღიზიანება, მათი აზრით, მიაღწევს იმ დონეს, როცა ეს მოძრაობა შეიძლება კულმინაციურად განვითარდეს. პირველ ეტაპზე მაინც, ისინი აუცილებლად მოერიდებიან ძალის ღიად გამოყენებას, მათ უნდათ მთელ საზოგადოებასა და დასავლეთს უჩვენონ, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური და კანონიერი გზებით იბრძვიან ხალხის უფლებების დასაცავად, იბრძვიან თავისუფლების დასაცავად, პროდასავლური კურსის დასაცავად, რომ თითქოს ესენი არიან კვლავაც და კვლავაც დემოკრატიისა და თავისუფლების შუქურები. პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ამ ეტაპზე საბურავების დაწვით და იარაღის გამოყენებით ქაოსს წამოიწყებენ, რადგან დღეს არსებულ „ნაცებში“, კერძოდ, სადისტური სისტემის ნარჩენებში, მე ვერ ვხედავ ადამიანებს, ვინც ამ ვითარებაში ასეთ ავანტიურაზე წავა.

– ერთი რამ ფაქტია, შექმნილია არანორმალური ვითარება, როცა უკვე მეორედ ვისმენთ, რომ ყაჩაღებმა დააუთოეს 80 წლის ქალბატონი. უთოებმა ცოცხები ჩაანაცვლეს, აქ უცნაურია ის, რომ ხელწერა ერთია და ამას სისტემური ხასიათი აქვს. რატომ ხდება მაინცდამაინც ყაჩაღობა სადისტური წამების გამოყენებით და არა, ქურდობა... რატომ მოსდის ყველა ყაჩაღს აზრად, რომ დააუთოოს უმწეო ბავშვი და მოხუცი. როგორ ხსნით ამ მოვლენას?

– „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერზეა წამსვლელი რეალური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. რეალური ძალაუფლება, ეს არის ძალოვანი უწყებების კონტროლი და სასამართლოების კონტროლი. ჩვენ ვნახეთ, რას აკეთებდნენ ისინი, სადისტური მოპყრობით დაწყებული, ციხეში სექსუალური ძალმომრეობით დამთავრებული, მაგრამ დღეს მათ კარგად იციან, რომ ამის გაკეთების დრო არ არის. არ მჯერა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დავალებით შავი სამყარო განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენს, აუთოებს ბავშვებს, მოხუცებს და აწამებს ქალებს. სხვა საქმეა, რომ ჩვენ ვიცით, რაც ბოლოს სააკაშვილმა ჩაიდინა, მისი პრეზიდენტობის ბოლო ვადაში. 700-მდე პატიმარი შეიწყალა, მათ შორის დომინირებდნენ სისხლის სამართლის

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

> **„ჩვენ ვიცით, რაც ბოლოს სააკაშვილმა ჩაიდინა, მისი პრეზიდენტობის ბოლო ვადაში. 700-მდე პატიმარი შეიწყალა, მათ შორის დომინირებდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო, სააკაშვილის ეს დანაშაულებრივი ნაბიჯი საზოგადოებისთვის წარმოეჩინა და დაენახვებინა, რა ჩაიდინა ამით სააკაშვილმა და რა საშიშროების წინაშე დააყენა საზოგადოება“**




> **„მე მაქვს ინფორმაცია, რა განწყობაა „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებში, ვინაიდან იქ საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები არიან, ესენი აკვირდებიან ხალხის განწყობას, „ნაციონალები“ ელოდებიან, რომ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ნიადაგზე რაც შეიძლება მეტად გაღიზიანდეს ხალხი და ისინი დაიწყებენ გამოსვლების ორგანიზებას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი ხელისუფლებით გაწბილება და გაღიზიანება, მათი აზრით, მიაღწევს იმ დონეს, როცა ეს მოძრაობა შეიძლება კულმინაციურად განვითარდეს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### სურსათის სააგენტო სკოლებისა და ბაგა-ბაღების კვების ბლოკების კონტროლს იწყებს



როგორც უწყებაში განმარტავენ, საწყის ეტაპზე ის ობიექტები გადამოწმდება, რომელთა ინსპექტირება უკვე ჩატარდა და გარკვეული რეკომენდაციები და მათ გამოსასწორებლად გონივრული ვადა მიეცათ. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციები ამოქმედდება.

ცნობისთვის, შემოწმებული 380 სკოლიდან არაკრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის გამო ყველა მათგანს მიეცა რეკომენდაცია, ხოლო კრიტიკული შეუსაბამობების დაფიქსირების გამო თბილისში მდებარე 71-ე, 112-ე, 113-ე და 166-ე საჯარო სკოლის ბუფეტები დაიხურა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში 2000-მდე საჯარო სკოლაა. 2014-15 წლებში ყველა მათგანის შემოწმება იგეგმება, შემდეგ კი ინსპექტირება კერძო სკოლებში, კერძო ბაღებსა და უმაღლესი სასწავლებლების ბუფეტებში ჩატარდება. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ზურაბ ადეიშვილს ხელი მიუწვდება სერვერზე, რომელიც სისხლის სამართლის საქმეების შინაარსს აკონტროლებს“



ამის შესახებ შს ექსმინისტრმა, კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა. მისი თქმით:

„ბევრი დამნაშავე არა თუ არ არის დასჯილი, არამედ სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამდენ ინფორმაციას, რომელსაც აჟღერებენ, საჯარო არხებიდან იღებს. დარწმუნებული ვარ, რომ ინფორმაციას მათ ის ადამიანები აწვდიან, რომლებიც ამ სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ყოფილ გენერალურ პროკურორ ადეიშვილს ხელი მიუწვდება სერვერზე, რომელიც სისხლის სამართლის საქმეების შინაარსს აკონტროლებს. შესაბამისად, ისინი სრულად არიან ინფორმირებულები, სამართალდამცავ ორგანოებს რა საქმეზე რა მტკიცებულებები მოეპოვებათ“. – განაცხადა ნარჩემაშვილმა. (ფრონტნიუსი)

### „თბილისის განვითარების ფონდის“ წესდებაში ცვლილებები შევიდა

თბილისის განვითარების ფონდის დამფუძნებელსა და ფონდს შორის არსებულ ურთიერთობაში ცვლილებები შევიდა. ცვლილების თანახმად, ქალაქის მთავრობასთან შეუთანხმებლად ფონდის თავმჯდომარე საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთს ველარ განსაზღვრავს.

როგორც ფონდის ხელმძღვანელი თემურ ხომერიკი განმარტავს, არსებული სტრუქტურის რეორგანიზებით დაზუსტდა სამსახურის ქვედანაყოფების ფუნქციები, საშტატო ნუსხა კი 16 ერთეულით შემცირდება. უკვე გათავისუფლდნენ გამოგონილ შტატებზე დასაქმებული თანამშრომლები, ხოლო განახლებული შრომითი ხელშეკრულებები გადაიხედა წესდებით დამტკიცებულ სტრუქტურასთან თავსებადობის კუთხით. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

დამნაშავეები, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო სააკაშვილის ეს დანაშაულებრივი ნაბიჯი საზოგადოებისთვის წარმოეჩინა და დაენახვებინა, რა ჩაიდინა ამით სააკაშვილმა და რა საშიშროების წინაშე დააყენა საზოგადოება. ამის ნაცვლად „ოცნების“ ხელისუფლებამ სიების შედგენისას ძალიან დიდი შეცდომები დაუშვა და მასშტაბური ამნისტია გამოაცხადა. მე ვეკითხები მათ, როგორ ფიქრობთ? თქვეს მიერ საპატიმროებიდან გამოშვებული ადამიანები მოეკიდნენ პატიოსან შრომას? სად არის სამუშაო ადგილები? ამიტომ ის, რომ შეწყალებულები სჩადიან განსაკუთრებული სისასტიკით დანაშაულს, არ უნდა იყოს გასაკვირი, სხვა საქმეა, რომ მერაბიშვილი-ადეიშვილი-სააკაშვილის დროს ასეთი ტიპის დანაშაული რომ ხდებოდა, ის პრესამდე ვერც კი მიდიოდა, ეს ნამდვილად ვიცი. ციხეში ხვდებოდნენ მკვლელები და მათი საქმეები არ შუქდებოდა. ეხლა, მადლობა ღმერთს, ინფორმაციები ღია და საჯაროა და ჯერჯერობით ინფორმაციას ჩვენი ხელისუფლება არ გვიმალავს, რაც კარგია... ის სკანდალი, რაც ე.წ. კანონიერ ქურდზე, „რემენაზე“ ატყდა და ეს „ნაციონალებმა“ სათავისოდ კარგად გამოიყენეს, განა საზოგადოებას დაავიწყდა, რა ხდებოდა „ნაციონალების“ დროს?!. „ნაციონალებმა“ ციხეებიდან თავისი ხელით გააპარეს კანონიერი ქურდები ზოგი კიევში, ზოგი მოსკოვში და ზოგი სად... მაგრამ გახსენდებათ, მათი ციხეებიდან გაყვანა ასე სკანდალურად დასრულებულიყო, როგორც „რემენას“ შემთხვევაში მოხდა. ასე რომ, „ნაციონალები“ სიტუაციას აკონტროლებდნენ, რაც, რა თქმა უნდა, უფრო შემზარავია, ვიდრე ის, რაც დღეს ხდება, ვინაიდან დღეს მასმედია უფრო თავისუფალია. დიდი იმედი მაქვს, რომ თავისუფალი მედია გააკონტროლებს იმ ადამიანებს ხელისუფლებაში, ვინც ნამდვილად საჭიროებს გაკონტროლებას.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აპოკალიფსს, არ ველი იმას, რომ „ნაციონალები“ მოახერხებენ ორგანიზებული ბოევიკების საქართველოში შემოყვანას, გამოიყენებენ იარაღს და ამით მოახდენენ დესტაბილიზაციას. ეს ავანტიურა მათთვის კრახით დასრულდება. მე ვიცი მათი გამოცდილება და ის, რომ ყველაფერზე წამსვლელები არიან, ჩემი ვარაუდი და პროგნოზია, რომ ამ ეტაპზე არ წავლენ რადიკალურ ნაბიჯებზე, სამაგიეროდ, თუკი ხალხი სპონტანურად დაიწყებს ქუჩაში გამოსვლას და ამას მიეცემა მასობრივი სახე და თუკი ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას დაიწყებს, მაშინ „ნაციონალები“ ღიად თუ ფარულად შეუერთდებიან ხალხს და ნებისმიერ პროვოკაციაზე წავლენ, არ გამოვრიცხავ იარაღიდან გასროლასაც... შეგახსენებთ მიხეილ სააკაშვილის ცნობილ გამონათქვამს, რაც 7 ნოემბერს გააკეთა, – მე რომ ოპოზიციაში ვყოფილიყავი, ხელისუფლებას ორ დღეში დავამხობდიო... შეგახსენებთ, რომ სააკაშვილს შესწევს უნარი, დაინახოს და შეაფასოს, სიტუაცია რევოლუციისთვის არის მომწიფებული.

**„თუკი ხალხი სპონტანურად დაიწყებს ქუჩაში გამოსვლას და ამას მიეცემა მასობრივი სახე და თუკი ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას დაიწყებს, მაშინ „ნაციონალები“ ღიად თუ ფარულად შეუერთდებიან ხალხს და ნებისმიერ პროვოკაციაზე წავლენ, არ გამოვრიცხავ იარაღიდან გასროლასაც... შეგახსენებთ მიხეილ სააკაშვილის ცნობილ გამონათქვამს, რაც 7 ნოემბერს გააკეთა, — მე რომ ოპოზიციაში ვყოფილიყავი, ხელისუფლებას ორ დღეში დავამხობდიო... შეგახსენებთ, რომ სააკაშვილს შესწევს უნარი, დაინახოს და შეაფასოს, სიტუაცია რევოლუციისთვის არის მომწიფებული“**



**„ჩვენ გვახსოვს ისეთი ჰიტლერი, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე უშეცდომოდ მიდიოდა, ანუ ყველაფერს თავისი დრო აქვს. სააკაშვილს აქვს ალღო, თუკი მან საბოლოოდ არ დაკარგა პოლიტიკურ რეალობასთან კონტაქტი“**

**— სხვათა შორის, მსოფლიოს შვიდმა წამყვანმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ დადო რამდენიმე წლის წინათ დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ სააკაშვილი ჰგავს ჰიტლერს, მათ შორის, პოლიტიკურ ალღოშიც... ჰიტლერი გარკვეულ ეტაპამდე ყოველთვის გრძნობდა, როდის იყო მისთვის სასურველი დრო. ფსიქიატრები იმასაც ამბობდნენ, რომ სააკაშვილს, როგორც ჰიტლერს, შესწევს უნარი, წამოიწყოს ომები...**

– როცა ჰიტლერი რეალობას მოსწყდა, კიდევაც დადგა ის დრო, როცა ბუნკერში თავი მოიკლა, ისიც კი ითხოვა, რომ მისთვის ბენზინი გადაესხათ და დაეწვათ. ჩვენ გვახსოვს ისეთი ჰიტლერი, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე უშეცდომოდ მიდიოდა, ანუ ყველაფერს თავისი დრო აქვს. სააკაშვილს აქვს ალღო, თუკი მან საბოლოოდ პოლიტიკურ რეალობასთან კონტაქტი არ დაკარგა. რა თქმა უნდა, მას ადგილზე ჰყავს მთელი გუნდი, რომლებიც მასთან სარფში ჩავიდნენ, ითათბირეს. ის აუცილებლად დასვამდა კითხვას, – მოდის რევოლუციის დრო, თუ არა... და მე გეტყვით, რომ „ნაციონალებმა“ მიშას უპასუხეს, – ამის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა... ახლა რომ ჩვენ ამ გზით წავიდეთ, ჩავფლავდებითო... მაქვს ინფორმაცია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაბნეულობაა, ისინი არ ელოდნენ, რომ მათი გეგმები გაიშიფრებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, თუკი მიხეილ სააკაშვილს და რამდენიმე ლიდერს დაუმტკიცდა, რომ ისინი ანტიკონსტიტუციური გზით ხელისუფლების დამხობისთვის ემზადებოდნენ, დაჭერების ახალი სერია დაიწყება და სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდება?**

– იმ შემთხვევაში, თუკი მართლაც დაუმტკიცდათ, რომ სააკაშვილი ამზადებს, ან მომავალში მოამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას, რა თქმა უნდა, ეს მის ბრალს დიდად დაამძიმებს. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ეს არის ძალიან დიდი დანაშაული, ეს არის იმ დანაშაულის ტოლფასი, რაც სააკაშვილს უკვე ჩადენილი აქვს 2008 წელს, სააკაშვილმა რამდენიმეწლიანი თავისი კონტრპროდუქტიული, ავანტიურისტული მოქმედება როგორც კონფლიქტური რეგიონების, ასევე რუსეთის მიმართ სამხედრო პოლიტიკური ავანტიურით „დააგვირგვინა“, რომელიც იყო ნამდვილი სამშობლოს ღალატი და პუტინს ლანგარზე მიართვა თავისი ხელით ის, რაც პუტინს უნდოდა.

**„ის სკანდალი, რაც ე.წ. კანონიერ ქურდზე, „რემენაზე“ ატყდა და ეს „ნაციონალებმა“ სათავისოდ კარგად გამოიყენეს, განა საზოგადოებას დაავიწყდა, რა ხდებოდა „ნაციონალების“ დროს?!. „ნაციონალებმა“ ციხეებიდან თავისი ხელით გააპარეს კანონიერი ქურდები, ზოგი კიევში, ზოგი მოსკოვში და ზოგი სად... მაგრამ გახსენდებათ, მათი ციხეებიდან გაყვანა ასე სკანდალურად დასრულებულიყო, როგორც „რემენას“ შემთხვევაში მოხდა. ასე რომ, „ნაციონალები“ სიტუაციას აკონტროლებდნენ“**

**„იმ შემთხვევაში, თუკი მართლაც დაუმტკიცდათ, რომ სააკაშვილი ამზადებს, ან მომავალში მოამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას, რა თქმა უნდა, ეს მის ბრალს დიდად დაამძიმებს. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ეს არის ძალიან დიდი დანაშაული, ეს არის იმ დანაშაულის ტოლფასი, რაც სააკაშვილს უკვე ჩადენილი აქვს 2008 წელს“**

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გერმანიასა და ესპანეთში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს



გერმანელმა სამართალდამცველებმა გამოავლინეს ქართველების ჯგუფი, რომელთაც პირადობის დამადასტურებელი ყალბი მოწმობები აღმოაჩნდათ. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ქართველები ჩეხური პირადობის მოწმობებით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად უპრობლემოდ გადაადგილდებოდნენ და მუშაობდნენ.

ფაქტს მიუნხენის ადგილობრივმა ტელეკომპანიამ ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა, რომლის მიხედვითაც, პირადობის მოწმობას – 2050 ევროდ, მართვის მოწმობას – 5000, ხოლო პასპორტს 10 000 ევროდ ყიდულობდნენ. ამ დროისთვის გერმანიის მასშტაბით პირადობის 57 გაყალბებული მოწმობა ამოიღეს.

თავად დაკავებულთა შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება.

პარალელურად მასშტაბური შემოწმებები ევროპის სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს. ესპანური მედიის ცნობით, ქვეყანაში ჩატარებული რეიდის შედეგად 49 ადამიანი დააკავეს, მათი უმეტესობა ქართველია, რომლებსაც პირადობების გაყალბება, ქურდობა და ყაჩაღობა ედებათ ბრალად. ჩხრეკისას ამოღებულია კომპიუტერები, მობილურები და სხვა ტექნიკა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქუთაისში პოლიციამ ქორწილის დღეს სიძე დააკავა



9 სექტემბერს ქუთაისში პოლიციამ ქორწილის მსვლელობისას სიძე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდა, რა დროსაც გააჩერა პატრულმა. მან სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია. მძღოლი აღმოჩნდა ნასვამი, თუმცა როდესაც პატრულმა გაარკვია, რომ დაკავებული სიძე იყო, ის ხელწერილის საფუძველზე მალევე გაათავისუფლეს. (kvira. ge)

## ზუგდიდში 3 ადამიანი, სავარაუდოდ, ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის დააკავეს



ზუგდიდში 9 სექტემბერს, ღამით, 3 ადამიანი დააკავეს. ოჯახის წევრების თქმით, გელა ქანთარიას, ლაშა ჩაჩხუნაშვილსა და გიორგი გარბაიას ქურდულ სამყაროსთან კავშირს ედავებიან.

„ღამის სამი საათი იქნებოდა, გვეძინა სახლში, ვიწექით, შემოგვივარდა შეიარაღებული ხალხი. კარის გაღებაც ვერ მოვასწარით, კარები შემომიმტვრიეს. ნახევარი საათი ზემოთ იყვნენ ასული, აიღეს პროცესორი, ვეხვეწებოდი, მითხარით, რისთვის იჭერთ ჩემს შვილს-მეთქი, ბოლოს მითხრეს, ქურდული მენტალიტეტის წევრი არისო“, – განცხადა ერთ-ერთი დაკავებულის დედამ.

სამივე დაკავებული ზუგდიდის სამხარეო პოლიციაშია გადაყვანილი. დაკავებულებთან ადვოკატებს არ უშვებენ.

„როგორც ოჯახმა გაიგო, დაკავება მოხდა იმის გამო, რომ რაღაც ეჭვი არსებობს იმისა, რომ ეს ადამიანები კავშირში არიან ქურდულ სამყაროსთან. ორდერის საფუძველზე დაკავებულთან შეხვედრა მოვითხოვეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერც პასუხი მივიღეთ, რა ხდება, რატომ არ გვიშვებენ, ვერ ვახერხებთ შეხვედრას ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთან“, – განაცხადა ადვოკატმა ბაჩუკი ყურაშვილმა. (news.ge)

## ლევან სუხიტაშვილი: „ეს რეფორმა არის მაგარი სირ...ა, მინისტრო...“




სამედიცინო რეფორმას, რომლის მიხედვითაც აფთიაქში რეცეპტის გარეშე უამრავი წამლის შეძენა აღარ შეიძლება, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათ შორის არიან ცნობილი სახეებიც. რამდენიმე საათის წინ მსახიობმა ლევან სუხიტაშვილმა „ფეისბუკზე“ შემდეგი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა:

– დედის ტყ... ხდება აფთიაქებში. რეცეპტით ვარ მისული და რეცეპტის შესწავლას რომ მორჩა, ერთი საათის მერე, ახლა ჩემზე გადმოვიდა. ამ ეტაპზე მიზომავს. რომ გამოვალ აქედან, მოგწერთ. მაგარ პონტში ვარ.

უკვე საათი სრულდება, რაც აქ ვარ. ნერვები მიკაწკაწებს. ბაგეების გვერდზე კუნთები ხელით მიჭირავს, რომ გაღიმებული სახე მქონდეს.

მე არ ვარ ჩასაფრებული და რაღაცა ეგეთი ტიპი, პირიქით. მივესალმები იმას, თუ აიკრძალება ის რაღაცა პრეპარატები, რითაც ვირიშვილობენ. მაგრამ ღამე, როცა მარტო ვარ და ამდენი ხანი უნდება ერთი ადამიანის მომსახურებას, წარმომიდგენია, რა ხდება დღე. ერთი სიბერესთან მებრძოლი ქალბატონი მედგა უკან და ძალიან განრისხდა, მეც მიმაყოლა... და წავიდა, სამწუხაროდ. მოკლედ, ეს რეფორმა არის მაგარი სირობა, მინისტრო... ვინაა გამახსენეთ.

– გეთანხმები ლევან. 40-თეთრიანი ტკივილგამაყუჩებელი არ მომცეს ურეცეპტოდ და ოთხმოცთეთრიანი მომცეს რეცეპტის გარეშე, რომელმაც ტკივილი უფრო გამიძლიერა, ვიდრე გამიყუჩა, აი, სადამდე მივედით, – წერს ლევანის ერთ-ერთი მეგობარი.

*reitingi.ge*

## რომან გოცირიძე: ნაკურთხი მანქანები



„ნაკურთხი მანქანები“ – ამ სათაურით აქვეყნებს „პოსტს“ „ფეისბუკის“ გვერდზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე.

გოცირიძე სოციალურ ქსელში ერთი ხატის ისტორიასა და ქართული ლარის დევალვაციის შესახებ ყვება და წერს, რომ არის საქმეები, რომლებიც ღმერთს კი არ უნდა მიანდო, არამედ საკუთარი ხელით უნდა გააკეთო. გოცირიძის თქმით, ასეა მანქანის კურთხევის შემთხვევაშიც:

ნაკურთხი მანქანები!

გუშინ მანქანის „ბლატნოი“ ნომრებზე დავწერე, რითაც ჩემი მეგობრების ერთი კატეგორია გავანაწყენე. ეს პრესტიჟული კი არა, ლამაზი ნომრებიაო. რა არის ამაში ცუდიო. დღეს მეორე ნაწილისგან მივიღებ, ალბათ, შენიშვნებს. რას იზამ!

ეროვნულ ბანკში წლების განმავლობაში უზარმაზარი, ლამაზი, რელიგიურ თემატიკაზე შესრულებული ჭედურობა იყო კედელზე ჩამოკიდებული. კურთხევის შემთხვევაში მშვენიერი ხატი იქნებოდა. ყველაზე მეტად სამების ტაძარს მოუხდებოდა და კიდევაც გადავეცით. მეორე დღესვე დამირეკა პატრიარქმა და მადლობა გადაგვიხადა ამ საჩუქრისთვის.

ჩემი ბანკიდან წამოსვლის შემდეგ რაღაც ვერ წავიდა კარგად საქმეები ეროვნულ ბანკში. ჩათვალეს, რომ „ხატის“ წასვლის ბრალი იყო. შეაგროვეს ფული და ახალი, მოკრძალებული ზომის ნაკურთხ ხატს მიუჩინეს საპატიო ადგილი. იმ წელიწადს სამასამდე თანამშრომელს დაატოვებინეს ეროვნული ბანკი. ვიღაცას უთქვამს, სანამ ძველს არ დავაბრუნებთ, არ იქნება ჩვენი საშველიო. ადგნენ და ძველი ჭედურობა, უკვე ნაკურთხი და ნამდვილი ძალმოსილების მქონე, გადმოაბრძანეს ბანკში. როგორ მოხდა და რის სანაცვლოდ, ამით არ დავინტერესებულვარ. სამწუხაროდ, იმის მერეც რამდენჯერმე განიცადა ლარმა მძიმე დევალვაცია...

არის საქმეები, რომელიც უფალს კი არ უნდა მიანდო, არამედ საკუთარი ხელით უნდა გააკეთო.

ასევეა მანქანების კურთხევისასაც – უკეთესია მოძრაობის წესები დაიცვა და მანქანა გყავდეს გამართულ მდგომარეობაში, ვიდრე ღმერთის იმედად იყო.

*news.ge*

## ინგა გრიგოლია: „რა დღეშია მარგველა... ეს ქალები საიდან შეყარა...“



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია პრეზიდენტის პრესსამსახურის წარმომადგენელს „ფეისბუკის“ გვერდზე პასუხობს.

– ვინმე სოფო ჯაჯანაშვილს მიაჩნია, რომ მათით ვიკეთებთ რეიტინგს. მომკალით და დამამიწეთ და თქვენც დაიხოცეთ თავებიიიი... მარგველაშვილით ვიკეთებთ თურმე რეიტინგს. ვაი... რა დღეშია მარგველა... ეს ქალები საიდან შეყარა... მგონი, გაუჩალიჩეს, – წერს გრიგოლია.

*pia.ge*

## ირაკლი ვაჭარაძე: „მეუფლება აქამდე უცნობი სურვილი: ხელი ვკრა და ლიანდაგზე მოვისროლო“



არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელი მასში გაჩენილ აგრესიაზე წერს:

– ვდგავარ მეტროსადგურ „სარაჯიშვილის“ ბაქანზე. მე ზურგჩანთით და შორტებით. საყვარელ მუსიკას ვუსმენ. სახეზე ღიმილი მადგას. ჩემს სამყაროში ვარ. საათს გავხედე. ის უკნიდან მიყურებდა. პოლიციელის დაძაბულ მზერას ვიჭერ. შუახნის და ბეჭებში მოხრილი, ზომიერად წარმომადგენლობითი და თანაბრად მრგვალი ღიპით. ბოროტი და გასისხლიანებული თვალები მსუქნად მოღრეცილ კისერზე დადებული ოთხკუთხა თავიდან გამომწვევად ამომყურებენ.

ბაქნის გასწვრივ ნელი ნაბიჯით სიარულს ვაგრძელებ. სვეტს გავცდები – უკან მომყვება. მიმართულება ვიცვალე. ამანაც. რამდენიმე ჯერი ვიარეთ ჩვენ-ჩვენ პერიმეტრებში, პარალელურ ხაზებზე. მე სვეტს აქეთ, ის იქით. მე მისი გვერდზე გარჭობილი იარაღი მაღიზიანებს, მას ჩემი ბედნიერი, თუმცა ახლა უკვე ნაწილობრივ დაძაბულიც, სახე.

მოულოდნელად და ჩემდა გასაკვირად, მეუფლება აქამდე უცნობი სურვილი: ხელი ვკრა და ლიანდაგზე მოვისროლო. არადა, არათუ არ ვარ მოძალადე, პოლიციის მიმართ აგრესია მაშინაც კი არ გამჩენია, 13 წლის ასაკში, 1993 წელს, სოფელში ავადმყოფ ბებიასთან მარტოდ მიმავალს, ვაგზალზე საგზლად მომარაგებული სნიკერსი და მზესუმზირა რომ წამართვა შევარდნაძის ორმა დამშეულმა პოლიციელმა. შემეცოდნენ რაღაცნაირად. მას შემდეგ სნიკერსისკენ არ გამიხედავს, პოლიციელს – ჩემკენ. 21 წლის შემდეგ კი, ამ პოლიციელმა მოახერხა და თავი დევნილ კრიმინალად მაგრძნობინა. ჰოდა, მეც მინდა რაღაც დავუშავო ამ ამაზრზენ არსებას რომელიც მსხვერპლს ეძებს რომ პრემია მიიღოს. მე კი გამოვასწარი, მაგრამ უდავოა, ეს დღეს ვიღაცის გასამწარებლად არის გამოსული.

*news.ge*

## ვახო სანაია თურქეთის მარგალიტზე „დაინიშნა“



„მაესტროს“ საინფორმაციოს წამყვანი ვახო სანაია თურქ მსახიობ გოგონაზე „დაინიშნა“. სოციალურ ქსელში ამის შესახებ თავად ჟურნალისტმა დაწერა და ბერენ საათის ფოტოც გამოაქვეყნა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჟურნალისტის ხუმრობაა.

თუმცა მეგობრებმა მისი გადაწყვეტილება მაინც მოიწონეს, ზოგი კითხვას უსვამდა, ხომ არ დაავიწყდა, რომ ამერიკაში მდიდარი და ხანშიშესული ქალბატონი ელოდება.

ჟურნალისტს თურქი მსახიობი ბერენ საათი რომ ძალიან მოსწონს, ამის შესახებ სოციალურ ქსელში ადრეც დაწერა. მსახიობის გათხოვების ამბავიც რთულად გადაიტანა. „ჩემი გული გათხოვდაო“, გულისტკივილით აღნიშნა, როდესაც გაიგო, რომ მსახიობმა, თურქული გარეგნობის ცოტა პუტკუნა და ულვაშებიან მილიონერზე იქორწინა.

იმედია, სანაიას ოდესმე ოცნება აუსრულდება და ცოლად თუ არ მოიყვანს, პირადად მაინც გაიცნობს თურქეთის მარგალიტს.

*reitingi.ge*

## დავით ზურაბიშვილი: „არ შემიძლია ამ ე.წ. შეთქმულების თემას არ გამოვეხმაურო“




როგორც თბილისის საკრებულოს წევრი სოციალურ ქსელში წერს, პოლიციის საქმე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა.

– არ შემიძლია, ამ ე.წ. შეთქმულების თემას არ გამოვეხმაურო. შს მინისტრი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს კონკრეტული დავალებები მისცა, რათა შეიქმნას კარგად ორგანიზებული მობილური ჯგუფები, რომლებმაც (ციტატა) „უნდა იმოქმედონ პროვოკაციულად, მათ შორის, პოლიციის თვალწინ შექმნან ფორსმაჟორული სიტუაციები, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები, სხვადასხვა თემის მანიპულირებით, როგორიცაა კრიმინოგენური ვითარება, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რუსეთთან ურთიერთობა; გამოიყენონ დევნილთა პრობლემები, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე მოახდინონ გაფიცვის პროვოცირება, შექმნან ქაოსური ვითარება. მათი მიზანია, შექმნან ნეგატიური ფონი, როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიასა და დიპლომატიურ საზოგადოებაში“. ახლა, საქმე რაშია: ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ეს ასე იყოს. უფრო მეტიც, რამდენადაც მე „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ვიცნობ (და საკმაოდ კარგად ვიცნობ), ასეთი პროვოკაციული და არცთუ კეთილშობილური ქმედებები მათ სტილში ორგანულად ჯდება, მაგრამ აქ პრობლემა ისაა, რომ ეს არ არის შეთქმულება. ამაში არ არის არაფერი უკანონო. ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ფორმა, რომელსაც უნდა დავუპირისპირდეთ პოლიტიკური მეთოდებით და არა პოლიციითა და უშიშროებით. ფერების გამუქება, ნაკლოვანებების გაბერვა, ბუზის სპილოდ გადაქცევა და ა.შ. ტიპის მცდელობები (და რაც ჭიკაიძემ ჩამოთვალა, სწორედ ესაა) შესაძლოა, არ მოგვეწონოს, მაგრამ არანაირად არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. პოლიციის საქმეა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და კრიმინალთან ბრძოლა. პოლიციის საქმე არ არის იმის გარკვევა, შეგნებულად ამუქებს ვინმე სიტუაციას თუ არა. ცოტა უხერხულიც კი მგონია ასეთ ელემენტარულ რაღაცებზე ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭიროა. და საჭიროა იმიტომ, რომ როდესაც ხდება პოლიტიკური ბრძოლის, თანაც მწვავე და პროვოკაციული ფორმების გამოცხადება შეთქმულებად და კრიმინალად, ამის გარდაუვალი შედეგი არის სწორედ ის, რასაც ჰქვია (კვლავ ციტატა) „ნეგატიური ფონი, როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიასა და დიპლომატიურ საზოგადოებაში“, – წერს ზურაბიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი



1. მხატვარი სანდრო ...
2. სისხლძარღვი
3. მიმიკის უქონლობა
4. „მე, ბებია, ილიკო და ...“
5. იანის საპირისპირო
6. მონაწილე აბარებს უნივერსიტეტში
7. თაფლისა და ნიგვზის ჩაროზი
8. სამკურნალო მცენარე
9. იუველირი
10. მინდორი
11. ქალაქი ზემო იმერეთში
12. მისი დედაქალაქია ტოკიო
13. პატრუქიანი თოფი
14. ცხიმიანი, კალორიული
15. ცისარტყელას ქალღმერთი
16. მწერალი ლუიჯი ...
17. სირაქლემას სახეობა
18. მსახიობი ... აბაშიძე
19. მადონა ფილმში
20. გეომეტრიული ფიგურა
21. მსახიობი ვანესა ...
22. სახელმწიფო აფრიკაში
23. დაქანებული ჩასასვლელი ციცაბო ადგილებში
24. კომიკოსები პატი და ...
25. რომაელი იმპერატორი
26. რეჟისორი ბერნარდო ...
27. დაბალფასიანი
28. კიანუ რივზი ფილმში
29. ძვირფასი წითელი ქვა
30. მსახიობი ... მერფი
31. მსახიობი ... ლონგორია
32. საქმეში ჩადებული წილი
33. დოლარის მეასედი
34. დაბა ოზურგეთთან
35. მხ/ფ „ჩარლის ...“
36. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
37. მსახიობი ... გარსია
38. ოპერის შესავალი ნაწილი
39. ამერიკელი მომღერალი ქალი
40. საათის მრგვალი ფირფიტა
41. მსახ. ... მაკგრეგორი
42. ტყის ფრინველი
43. ცხენებშებმული ტრანსპორტი
44. მწერალი ... ტოლსტოი
45. ბოსტნის მავნებელი
46. ქიმიური ელემენტი
47. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
48. დაყაჩაღება
49. ძაღლის აღებული სუნი
50. ნორჩი ტოტი
51. მსოფლმხედველობა
52. „ვაი ... ეხედავ მზეს“
53. მომღერალი ... კალასი
54. ბუდისტი მღვდელი
55. პოეტი ... ევდოშვილი
56. საერთო ევროპული ვალუტა
57. შტატი აშშ-ში
58. ტბა უნგრეთში
59. მხ/ფ „... ორკესტრი“
60. ნიშნავს ახალს
61. ჰოლანდიელი მხატვარი
62. ხელსაწყო: ითვლის ტემპს
63. მწერალი ანტონ ...
64. ვულკანი სიცილიაზე
65. ციხესიმაგრე პარიზში
66. მსახიობი ... ლი ჯონსი
67. რამაზ ჩხიკვაძე ფილმში
68. ირანში: ... ჰომეინი
69. მამალი კვიცი
70. ვენეციელი მენავეების სიმღერა
71. კოსტიუმირებული მეჯლისი
72. შურისძიება სიცილიურად
73. ნიავი
74. ფოტოების ჩასაწყობი
75. ჰარისონ ფორდის კინოგმირი ... ჯონსი
76. ლაიზა მინელი ფილმში
77. ქართ. ანბანის ბოლო ასო
78. ძველებური სიმებიანი საკრავი
79. „არგოს“ ეკიპაჟი
80. ტელეკომპანია
81. კომპიუტერული ფირმა თბილისში
82. ზღაპრული ცხენი
83. მ.ქ.კ. ანუ ... ქმედების კოეფიციენტი
84. კუნძული ოხოტის ზღვაში
85. წელის ტკივილი
86. ნიშნავს ცივს
87. თვალის ნაწილი
88. ძველი ეგვიპტის დედოფალი
89. ნოეს შვილები: სემი, ქამი და ...
90. მსახიობი ვივიენ ...
91. მომავლის რწმენა
92. ფულის გარკვეული ოდენობა
93. ხის პალო
94. ყვავილი
95. რუსული ესტრადის მომღერალი
96. სილა
97. ინფექციური დაავადება
98. ბანდის მეთაური
99. ისტ. რეგიონი ნიდერლანდში
100. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
101. ეგზოტიკური ფრინველი
102. მხ/ფ „... სასიძო“
103. პროდუქტი ფიჭაში
104. ... ფიტცჯერალდი
105. ტაილანდის ძველი სახელწ.
106. კუბის დედაქალაქი
107. დათვის ზამთრის ძილი
108. „თხა და ...“
109. კაბაზე შემოვლებული კანტი
110. ვრცელი ველები აფრიკაში
111. მსახ. ... მალკოვიჩი
112. „ლაზარეს თავგად.“ ანარქისტი
113. მწნილი
114. ვიოლინოების ოსტატი ანტონიო ...
115. პოეტი ... ალიგიერი
116. მომღერალი ... რიდი
117. ნამცხვარი
118. „იმერული ესკიზები“ ბაბუა
119. მსახ. ... კალატოზიშვილი
120. მხატვარი ... ფირცხალავა
121. მსახიობი ... ფაროუ
122. გადაშენებული ფრინველი
123. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
124. ქართ. ხალხური თიხის დოლი
125. ბრინჯის კერძი
126. რუსი ილუზიონისტი
127. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
128. დაესმის არსებით სახელს
129. გემი ორი კორპუსით
130. ინერტული აირი
131. წყალქვეშა კლდე
132. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
133. მსხვილი თოკი
134. ხის ჯიში
135. ტყავი, ანუ ...
136. ... მორჩილაძე
137. სიგრძის ძველებური ერთეული
138. მსახ. ... ბეგაშვილი
139. მხ/ფ „არ აატირო, ...“
140. გადამდნარი კარაქი
141. ნეტარ ... მორწმუნენი

პასუხები: 1. ბოტიჩელი; 2. არტერია; 3. ამიმია; 4. ილარიონი; 5. ინი; 6. აბიტურიენტი; 7. გოზინაყი; 8. ასკილი; 9. ოქრომჭედელი; 10. ველი; 11. საჩხერე; 12. იაპონია; 13. არკებუზი; 14. მსუყე; 16. პირანდელო; 17. ემუ; 18. ლეილა; 19. „ევიტა“; 20. ტრაპეცია; 21. პარადი; 22. ტუნისი; 23. აპარელი; 24. პატაშონი; 25. კალიგულა; 26. ბერტოლუჩი; 27. იაფი; 28. „მატრიცა“; 29. აყიყი; 30. ედი; 31. ევა; 32. პაი; 33. ცენტი; 34. ლაითური; 35. დეიდა; 36. ელიბო; 37. ენდი; 38. უვერტიურა; 39. მადონა; 40. ლევ; 45. მახრა; 46. ნატრიუმი; 47. ტორტილა; 48. რეკეტი; 49. გეში; 50. ყლორტი; 51. კრედო; 52. ველარ; 53. მარია; 54. ლამა; 55. იროდიონ; 56. ევრო; 57. ალაბამა; 58. ბალატონი; 59. ადამიანი; 60. ნეო; 61. რემბრანდტი; 62. მეტრონომი; 63. ჩეხოვი; 64. ეტნა; 65. ბასტილია; 66. ტომი; 67. „ნერგები“; 68. აიათოლა; 69. ურა; 70. ბარკაროლა; 71. მასკარადი; 72. ვენდეტა; 73. სიო; 74. ალბომი; 75. ინდიანა; 77. ჰაე; 78. მანდოლინა; 79. არგონავტები; 80. ანძა; 81. „ალტა“; 82. რაში; 83. მარგი; 84. სახალინი; 85. წელკავი; 86. კრიო; 87. რქოვანა; 88. ნეფერტიტი; 89. იაფეტი; 90. ლი; 91. იმედი; 92. თანხა; 93. სოლი; 94. ია; 95. ალსუ; 96. ქვიშა; 97. ტიფი; 98. ატამანი; 99. ჰოლანდია; 100. „დრაკულა“; 101. ტუკანი; 102. უდიპლომო; 103. თაფლი; 104. ელა; 105. სიამი; 106. ჰავანა; 107. ანაბიოზი; 108. გიგო; 109. არშია; 110. სავანა; 111. ჯონ; 112. ანანია; 113. მარინადი; 114. სტრადივარიუსი; 115. დანტე; 116. დინ; 117. შუ; 118. ბარნაბა; 119. ნანკა; 120. გიგლა; 121. მია; 122. მოა; 123. ინდიგო; 124. დიპლიპიტო; 125. ფლავი; 126. კიო; 127. ომეგა; 128. ვინ; 129. კატამარანი; 130. ნეონი; 131. რიფი; 132. ვაის; 133. ბაგირი; 134. ბზა; 135. კანი; 136. აკა; 137. ადლი; 138. შორენა; 139. ასუნტა; 140. ერბო; 141. არიან. იკითხება: ჩარლი ჩაპლინი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. სავანის ბინადარი ცხოველი
2. „მაუგლი" ავაზა
3. ექსპრომტი
4. მომღერალი კრისტინა ...
5. შავი ზღვის ბინადარი ზვიგენი
6. მოწონების შეძახილი შრომაში
7. სახელმწიფო ევროპაში
8. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
9. დრამა, კომედია, ...
10. ავსტრალიელი აბორიგენების იარაღი
11. სქელტანიანი ძველი წიგნი
12. კოსმონავტიკის „მამა"
13. „პარმის სავანე" ავტორი
14. ეგზოტიკური ფრინველი
15. მონეტების შემგროვებელი
16. „... ოკეანის საიდუმლოება"
17. იალქანი
18. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
19. დირიჟორი ოდისეი ...
20. სამოთხის ბაღი
21. ნუსხა
22. სირაქლემას სახეობა
23. მხ/ფ „101 ..."
24. ჰომეროსის პოემა
25. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
26. ... პოპესკუ გოპო
27. ციხესიმაგრე პარიზში
28. იტალიელი კომპოზიტორი
29. კომპოზიტორი ნინო ...
30. „... ჩვიდმეტი გაელ-ვება"
31. ცისარტყელას ფერი
32. მხ/ფ „... ბროკოვიჩი"
33. მსახიობი ჯულიეტა ...
34. ... ნასრედინი
35. თბილისის ძველი უბანი
36. კატის ნაშიერი
37. კუნძული ბორნეო, იგივე ...
38. ჰარი პოტერის ავტორი
39. „მაუგლი" პითონი
40. ყვავილის ტკბილი წვენი
41. სახტუნაო დიდი ბადე
42. მსახიობი ... ბერიმორი
43. დიდი კაშკაშა მეტეორი
44. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
45. ტკბილი კარტოფილი
46. ნორვეგიის დედაქალაქი
47. ჭიდაობის სახეობა
48. საბაჟო აჭარაში
49. გულის მთავარი სისხლძარღვი
50. უღელტეხილი კავკასიონზე
51. თავის ჩონჩხი
52. ბელგიის დედაქალაქი
53. ოთხიანი მარდში
54. სურდო
55. მსახიობი ვიაჩესლავ ...
56. ჩხუბი
57. მსახიობი ... დეპი
58. გეომეტრიული ფიგურა
59. ხორცის ნახარში
60. ვაშლის ჯიში
61. მიწისძვრის ჩამწერი ხელსაწყო
62. ძეწკვზე დასაკიდებელი
63. ლენონის ქვრივი
64. დათვის ნაშიერი
65. სოფელი კასპის რაიონში
66. რეჟისორი აკირა ...
67. „მატრიცა" კერი-ენ მოსი
68. ზაფხულის თვე
69. მომღერალი ... რიდი
70. ავსტრიის დედაქალაქი
71. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
72. ფიზიკოსი ისააკ ...
73. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
74. ტუალეტის წყალი
75. ყვავილი
76. თეატრის ყველა სპექტაკლი
77. ... გუდიაშვილი
78. მწერალი ... კიპლინგი
79. ნავსაყუდელი
80. საზეიმო აღლუმი
81. ... გაფრინდაშვილი
82. ინდიელთა ტომის წინამძღოლი
83. მსახიობი ... გარსია
84. მსახიობი ბენისიო დელ ...
85. ქალაქი ზემო იმერეთში
86. მწერალი ვიტალი ...
87. მასობრივი გადარბენა
88. მხ/ფ „უცხო" ლეიტენანტი ...
89. მწერალი არტურ კონან ...
90. მსახიობი ... გარდნერი
91. მსახიობი ... ვარდალოსი
92. კაციჭამია
93. ქალაქი გერმანიაში
94. წიწვოვანი ხის ყვავილედი
95. მსახიობი ნატალია ...
96. გემის მოძრავი კიბე
97. ქალაქი ესპანეთში
98. ღია საზაფხულო კაბა
99. რეი ბრედბერის ჟანრი
100. ჯამის ფორმის სასმელი
101. კომპოზიტორი ... გაბუნია
102. მსახიობი მარინა ...
103. მსახ. ... ახეჯაკოვა
104. ნაბიჯი ბალეტში
105. სანელებელი
106. ... ჩიბურდანიძე
107. მსახიობი ზურაბ ...
108. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
109. ქანცი, ძალღონე
110. „ბაღში ვაში ობოლი, მეტის ლხე-ნითა ..."
111. ინდოეთის დედაქალაქი
112. ჰიპოკრატეს ...
113. მსახიობი ... ლიოტა
